საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბრთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 5 დეკემბერი. 2019 წ. №240 (8906) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

სააკაშვილის პარტნიორები შიშვლები არიან!

NDI და IRI საქართველოს წინააღმდეგ

საქართველოს საგარეო პოლიტიკის და მთლიანად – საქართველოს განვითარების დასავლური კურსი, საქართველოს კონსტიტუციით გამყარებული არჩევანია. **დასავლურ სტრუქტურებში მჭიდროდ ინტეგრირებული, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შენება, ჩვენი, როგორც ქრისტიანული ღირებულებებით ნასაზრდოები ერის, ისტორიულად ჩამოყალიბებული შინაგანი ნების გამოხატულებაა.**

საუბრები ნეიტრალიტეტზე, „შვეიცარიული გაბრწყინების“ პერსპექტივით, წინასწარ დამარცხებისთვის განწირული პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან, ცუდად შენიღბული რუსული გეგმის თავზე მოხვევის უბადრუკი მცდელობაა.

პირველი ორი აბზაცი გახლავთ აუცილებელი შესავალი იმ „ხმამაღალი ფიქრების“ (როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მნიშვნელობით) ობიექტური ანალიზისთვის, რომელთაც წინამდებარე წერილში შემოგთავაზებთ.

რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში ძველმა ეროვნულ-დემოკრატმა, გია ჭანტურიას თანამებრძოლმა გიორგი კობახიძემ ასეთი რამ განაცხადა: **„გიას მკვლელობის დღეს, პირველივე ინტერვიუში ჟურნალისტის კითხვას – „ვინ მოკლა გია ჭანტურია?“ ასე ვუპასუხე: მკვლელების მხილება, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოხდება, დამკვეთის ვინაობა შეიძლება ვერც ვერასოდეს გავიგოთ, მაგრამ მთავარ კითხვაზე – რატომ მოკლეს გია ჭანტურია, შემიძლია დღესვე გიპასუხოთ... ის მოკლეს იმათთვის, ვინც შევარდნაძის მერე უნდა მოვიდნენ ხელისუფლებაში.“**

მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიასა და გია ჭანტურიას პოლიტიკური პროცესიდან ჩამოშორება რუსული გეგმის წარმატების აუცილებელი პირობა იყო, რომლის გარეშეც იმპერიის სამხრეთის საზღვრებთან პოზიციების შენარჩუნება, ანუ საქართველოში გავლენების შენარჩუნება, ყოვლად უიმედო, შეუძლებელი პერსპექტივა იქნებოდა.

პროცესების უშუალო მონაწილის მიერ შიგნიდან დანახული მომავალი მძიმე რეალობად დაგვატყდა თავს – **შევარდნაძის შემდეგ მოსულმა პოლიტიკურმა ძალამ ზედმიწევნით შეასრულა რუსული დავალება: რუსული სამხედრო ნაწილები საქართველოში დააბრუნა და სრულად უზრუნველყო უპირობო რუსული მმართველობა ახლა უკვე დე ფაქტო „დამოუკიდებელ სახელმწიფოებში“.**

იხ. 3 გვ.

ილია მეორე:

ბოროტი ძალა ცდილობს, ჩამოაშოროს ადამიანი ღმერთს

საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულთან დაკავშირებით დღეს თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძარში იქადაგა. **„ეს არის ბედნიერი დღე – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება. ეს არის გზა, რომელიც გვიჩვენა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა, როგორ უნდა მივიდეთ სასუფეველში“,** – განაცხადა ილია მეორემ.

„ეს არის ტაძარი კარიბჭე სასუფევლისა და ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც ამ კარიბჭეში შევა. ჩვენს გარშემო არის საშინელი ბრძოლა და ყველაფერი არის ადამიანის სულისთვის. ბოროტი ძალა ცდილობს, ჩამოაშოროს ადამიანი ღმერთს, ზეციური ძალა ცდილობს, არ დაუშვას ბოროტება ადამიანთა შორის. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თვითონ ადამიანს. თვითონ ადამიანზეა ბევრი დამოკიდებული, რას აირჩევს – კეთილ გზას თუ ბოროტს. ძალიან ხშირად ისმის, მე მინდა, ბედნიერი ვიყო დედამიწაზეო და იქ რა იქნება, მე არ მეკითხებაო. არ არის ეს სწორი. ჩვენი აქ ყოფნა წუთისოფელია. ეს წუთისოფელი არარა არის სასუფეველთან. ადამიანს უნდა ჰქონდეს კავშირი ბუნებასთან, კავშირი დედამიწასთან“, – განაცხადა ილია მეორემ.

აშშ-ის სენატში საქართველოს მხარდამჭერი კიდევ ერთი განცხადება გაკეთდა

8

მარტო ამისთვის ღირდა სიცოცხლე!..

ეს ფერადოვარი ფრაზა სახელწოდებაა ჩემი ერთ-ერთი წიგნისა, რომელიც ეძღვნება მაღალმთიანი აჭარის სოფელ ოლადაურის პირველი ქართული სკოლის საუკუნოვან იუბილეს და მისი დამაარსებლის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ნური ბერიძის თავგანწირულ ღვაწლს მაშინ, როდესაც თურქეთიცა და რუსეთიც ერთდროულად ცდილობდა, ეს ულამაზესი წალკოტი წაეგლიჯათ დედასამშობლოსთვის. ყადს უამრავი სასახელო შვილი და შვილიშვილი ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანის – ნური თავდგირიძის მოგონებებში ვკითხულობთ: „დედეი (ბაბუა) დაგვაჯდუმლებდა ბაღნებ, გვიყვებოდა საქართველოს ისტორიას, თავად ტიროდა და ჩვენც გვაცრემლებდა. ერთხელ დედემ გვითხრა: ბაგრატ VII რომ იყო მეფე, ის გაამუსლიმანეს, არჩილ II, ვახტანგ V, როსტომ მეფეც, გიორგი XI, კიდევ სხვებიც..., მარა გულით ვის ემსახურებოდნენ? – ჩვენს ღელე-ღურდანს, მემლექეთს!.. სულხან-საბამ რომ კათოლიკობა მიიღო, რისთვინ მიიღო? – საქართველოსთვინ! – ეგებ რამე ვუშველოო. რწმენითვინ კაცი არ დეიზრახება!.. წყალი მიდგებ-მოდგება და თავის პირველ კვალ დუუბრუნდება მაინც!“ (ჩანტლაძე, 2015-2016: 149).

სწორედ ამ გულანთებული პატრიოტის შვილთაშვილი გახლავთ პროფესორი **აკაკი ბერიძე,** არაერთი საერთაშორისო ქირურგიული საზოგადოებისა თუ სამედიცინო აკადემიის წევრი, სახელოვან პაპაზე არანაკლები პატრიოტი.

„ოლადაურს იმერხევისგან მხოლოდ ერთი აღმართ-დაღმართი ჰყოფს. ჩვენს სოფელში ქართული სკოლის გახსნას თავის დროზე მარტოოდენ საგანმანათლებლო დანიშნულება არ ჰქონია – ეს ფაქტი მაშინ უდიდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოვლენად იქცა. **რომ ქართული სკოლა არა, აუცილებლად გაგვათათრებდნენ,** იმდენად ახლოს ვიყავით მათთან ტერიტორიულად“ – ხშირად ამბობს ხოლმე ბატონი აკაკი, მით უმეტეს, რომ სწორედ ამ სკოლაში აღიზარდნენ პროფესორი ძმები აკაკი და ჯემალ ბერიძეები, რომელთაც, მიუხედავად სხვადასხვა სპეციალობისა (ერთი ქირურგია, მეორე – ინჟინერი), ერთ დღეს (1995 წლის 30 ოქტომბერს) დაიცვეს სადოქტორო დისერტაციები. სწორედ ამ საოცარ ფაქტთან დაკავშირებით გამართულ ქართულ სუფრაზე, რომელსაც აჭარიდან ჩამოტანილი სურნელოვანი ნუგბარი ამშვენებდა, ამაყად განაცხადა ლევან ბერიძემ – ორი ერთდროულად გადოქტორებული ვაჟის მამამ (მას მეტი შვილი არც ჰყავდა!..), „მარტო ამისთვის ღირდა სიცოცხლეო“. დიახ, ჭეშმარიტ მამულიშვილს შესანიშნავად ჰქონდა გააზრებული, რომ საბჭოთა კავშირის უღლიდან ახალთავდახსნილი საქართველო ვერავითარ შემთხვევაში ვერ განვითარდებოდა მაღალაკადემიური განათლების გარეშე. რა დასანანია, რომ დღემდე ოლადაურის სკოლას არა აქვს მინიჭებული ყადი ნური ბერიძის სახელი! – ამაზე უკეთესი სხვა რა უნდა გააკეთოს ადგილობრივმა საზოგადოებამ ან ხელისუფლებამ?!

ძმები აკაკი და ჯემალ ბერიძეები თავიანთი სადოქტორო დისერტაციების დაცვის დღეს – 1995 წლის 30 ოქტომბერს.

ბატონი აკაკი – ცნობილი მეცნიერი, შესანიშნავი ექიმი და უბადლო პედაგოგი – დღეს თავის მეოთხმოცე შემოზამთრებას ეგებება; მე მასზე მხოლოდ რამდენიმე დღით უფროსი გახლავართ და მასთან ოცწლიანი მეგობრობა მაკავშირებს:

2005 წლის 25 ნოემბერს შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა, პროფესორმა ნუგზარ მგელაძემ დააარსა საერთაშორისო ქართველოლოგიური ცენტრი, რომლის ხელმძღვანელად მე მიმიწვია. ცხადია, ეს ყველაფერი თბილისის სამსახურებთან (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი) შეთავსებით უნდა ყოფილიყო, რაც ქალისგან უაღრესად რთულ შრომას მოითხოვდა; ამიტომ ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ბათუმის უნივერსიტეტის აუდიტორიებში არეკლილი ზღვა რომ მახსენდებოდა, ცდუნებას ველარ ვუძლებდი – მით უფრო, რომ ყოველთვის დიდი ოჯახი მქონდა, ხელფასი კი იმდენად სასაცილო, რომ მისი გამხელა საშინლად მრცხვენია. კიდევ კარგი, განათლების ახლანდელმა მინისტრმა დანიშვნის პირველივე დღეს განაცხადა: ჩვენ ღირსეული მეცნიერები გვყვანან და ამიტომ მათ ხელფასები უნდა გავუორმაგოთო. მე ძალიან მჯერა პროფესორ მიხეილ ჩხენკელის გულწრფელობისა (სწორედ მან დამაჯილდოვა დიდი იაკობ გოგებაშვილის სახელობის სანუკვარი პრემიით რამდენიმე წლის წინ).

იხ. 5 გვ.

მუდამ გახსოვდეთ საქართველო!

— შავ ზღვაზე სტაბილურობის გარეშე ვერ იქნება უზრუნველყოფილი ევრო-ატლანტიკური სივრცის სტაბილურობა, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა ლონდონში ლიდერთა შეხვედრის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაზე — „NATO Engages: Innovating the Alliance“ ბალტიისა და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე მიძღვნილ სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მინისტრის თქმით, შავი ზღვა მნიშვნელოვანია ნატოსთვის და საქართველო ამ კუთხით აქტიურად არის ჩართული მთელი რიგი პრაქტიკული მიმართულებებით.

შავი ზღვის რეგიონში არსებულ გამოწვევებზე საუბრისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა რუსეთის დესტრუქციულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, რომელსაც დღემდე ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი.

„ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით ადგილზე რთული ვითარებაა, ადამიანები იდევნებიან და მათ უკანონოდ აკავებენ, ახლაც გატაცებულია ცნობილი ქართველი ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი, რომელიც უკანონო პატიმრობაში იმყოფება. ჩვენ ამ ფაქტის შესახებ მოვახდინეთ საერთაშორისო თანამეგობრობის სრული კონსოლიდაცია. ჩვენ სახეზე გვაქვს ჰუმანიტარული კატასტროფა. ამ საკითხებზე ჩვენ ახლაც აქტიურად ვახდენთ საერთაშორისო თანამეგობრობის კონსოლიდაციას“, — განაცხადა ზალკალიანმა.

საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხზე საუბრისას მინისტრმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ნატოში საქართველოს ინტეგრაცია ემსახურება ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მის დემოკრატიულ განვითარებას და არ არის მიმართული რომელიმე მესამე მხარის წინააღმდეგ. მისი განცხადებით, საქართველო არის წარმატებული ასპირანტი ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი გაწევრიანებისათვის და აქტიურად ემზადება იმ მომენტისთვის, როდესაც დადგება გაწევრიანების შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილების დრო.

„ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებაში ნათლად წერია, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი. მას მერე ბევრი სამიტი გაიმართა და ყველა დოკუმენტსა და დეკლარაციაში მეორდება ნატოში საქართველოს გაწევრიანების მხარდაჭერა. ჩვენ ვაცნობიერებთ დღეს არსებულ ვითარებას. თუმცა ეფექტურად ვახორციელებთ ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს, რასაც მივყავართ წევრობამდე. საქართველო უკვე მოქმედებს როგორც ალიანსის წევრი. ჩვენ ვაცნობიერებთ დღეს არსებულ ვითარებას, იმას, რომ ჯერ არ არის პოლიტიკური გადაწყვეტილება.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ქვეყანა მზად იყოს იმ მომენტისთვის, როცა წევრობის დრო დადგება. საქართველოს კონტრიბუცია, რა თქმა უნდა, საჭიროებს შემხვედრ ნაბიჯებს ნატოსგან“, — განაცხადა ზალკალიანმა და დასძინა რომ საქართველო აქტიურად მუშაობს ყველა პარტნიორთან, ასევე დგამს აქტიურ ნაბიჯებს ქვეყნის საბოლოო მიზნისთვის მოსამზადებლად — რაც არის ნატოს წევრობა.

„მუდამ გახსოვდეთ საქართველო“, — ამ სიტყვებით დაასრულა სესიაზე გამოსვლა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, რასაც დარბაზში ოვაციები მოჰყვა.

ფატუ ბენსუდა: შესაძლოა, 2008 წლის ომის საქმეზე კონკრეტული შედეგები 2020 წლის ბოლოს დადგეს

„რუსეთ-საქართველოს ომის საქმეზე გამოძიება აქტიურ ფაზაშია და არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნულ საქმეზე კონკრეტული შედეგი 2020 წლის ბოლოსთვის დადგეს“, — ამის შესახებ ფატუ ბენსუდამ საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან შეხვედრაზე განაცხადა. თეა წულუკიანი ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრი სახელმწიფოების ასამბლეის რიგით მე-18 სესიის ფარგლებში, ჰააგის სასამართლოს პროკურორ ფატუ ბენსუდას შეხვდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე იუსტიციის მინისტრმა რუსეთ-საქართველოს ომის გამოძიების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობა, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ეთნიკური წმენდის, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი და ომის დანაშაულთა მსხვერპლი გახდა, გამოძიებიდან ელოდება კონკრეტულ შედეგებს, რათა აღსრულდეს მართლმსაჯულება. ასევე, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მხარეებს შორის თანამშრომლობა ძალიან მაღალ დონეზე ხორციელდება. ფატუ ბენსუდას უფლებამოსილების ვადა 2020 წლის ბოლოს ეწურება.

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა

კეთილმოწყობის სამუშაოები – სრული სვლით!

გუშინ დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და, პირველ რიგში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგებაზე, ასევე, ქალაქში მიკროავტობუსების ჩანაცვლების აუცილებლობაზე ისაუბრა.

მისი თქმით, ახალი ავტობუსების შესყიდვის პროცესი გრძელდება და მომავალი წლის ბოლომდე, არსებული ავტოპარკი სრულად ჩანაცვლდება. რაც შეეხება მიკროავტობუსებს, კახა კალაძემ ვიცე-მერს ირაკლი ხმალაძეს კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის შედეგების წარმოდგენა სთხოვა.

ვიცე-მერის განმარტებით, მიკროავტობუსების კომპანიასთან კომუნიკაცია გრძელდება, ერთი კვირის შემდეგ კი სამარშრუტო ტაქსების ჩანაცვლების გეგმას წარმოადგენს. დედაქალაქის მერის თქმით, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს.

თბილისის მერმა მთავრობის სხდომაზე კანდელაკის ქუჩაზე დაფიქსირებულ დარღვევაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა და აღნიშნა, რომ წყალარინების ქსელის დაზიანების გამო, თბილისის მუნიციპალური ინსპექცია კომპანია „თელასს“ დააჯარიმებს.

„კანდელაკის ქუჩის რეაბილიტაცია რამდენიმე თვეა, დავასრულეთ. ორი კვირის წინათ მოსახლეობას აღნიშნულ ქუჩაზე დაფიქსირებული პრობლემის შესახებ ვაცნობე. ორ კონკრეტულ მონაკვეთზე დაზიანებული იყო წყალარინების ქსელი. ეს დადგინდა მას შემდეგ, რაც ტერიტორია სპეციალური აპარატით შემოწმდა. კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ აღნიშნულ აპარატს იყენებს იმისთვის, რომ ახალგაკეთებული ქსელი შეამოწმოს. ერთ-ერთი ასეთი შემოწმების დროს დაფიქსირდა ორი ადგილი, სადაც წყალარინების რეაბილიტირებული მილები იყო დაზიანებული. ცხადია, აქ ვიღაცას ნაწარმოები ჰქონდა მიწის ბურღვის სამუშაოები“, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძის თქმით, ორივე კონკრეტულ მონაკვეთზე დაზიანება უკვე გამოსწორებულია. ამასთან, დედაქალაქის მერმა შესაბამის სამსახურს დაავალა, რომ „თელასის“ ხელმძღვანელობასთან კომუნიკაცია შედგეს და მსგავსი რამ მომავალში არ განმეორდეს.

მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ ვაკის პარკის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, ყველა დაინტერესებულ პირთან საჯარო შეხვედრა 7 დეკემბერს, 12:00 საათზე, ვაკის პარკში გაიმართება. ამასთან, კახა კალაძემ აღნიშნა, რომ 2020 წლიდან, მთაწმინდის რაიონში, ლადო ასათიანის ქუჩის №50-ში სპორტული ცენტრის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება, რომლის შემდეგაც მულტიფუნქციური დარბაზი მოეწყობა.

დედაქალაქის მერმა ქალაქში მიმდინარე მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ კახეთის გზატკეცილზე საგზაო სამუშაოები 6 დეკემბერს დასრულდება და სატრანსპორტო მოძრაობა სრულად აღდგება.

მისი თქმით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ელექტროგადამცემი ხაზების მიწის ქვეშ განთავსება და ახალი სანათების დამონტაჟება მოხდება, რომელიც სატრანსპორტო მოძრაობას ხელს არ შეუშლის.

„კახეთის გზატკეცილზე ასევე, მიმდინარეობს გამწვანების სამუშაოები, ბოლოს კი საგზაო მონიშვნები დაიხაზება. ძალიან კარგი პროექტი გამოდის. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ტერიტორია მთლიანად სახეშეცვლილი იქნება თავისი საგზაო ინფრასტრუქტურით და კეთილმოწყობის სამუშაოებით“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

რაც შეეხება ჭავჭავაძის გამზირს, თბილისის მერის ინფორმაციით, აღნიშნულ ტერიტორიაზე საგზაო სამუშაოების ნაწილი 8 დეკემბრისთვის დასრულდება და სატრანსპორტო მოძრაობა აღდგება.

გლდანის რაიონში მიმდინარე სამუშაოებზე კახა კალაძემ აღნიშნა, რომ ხიზანიშვილისა და ვეკუას ქუჩებზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა ქვედა ფენებში დაახლოებით, 15-20 დეკემბრისთვის დასრულდება.

„ავტომობილებს ყოველგვარი შეფერხების გარეშე, ექნებათ გადაადგილების შესაძლებლობა. აღნიშნულ ქუჩებზეც პარალელურად გაგრძელდება სამუშაოები. ეს არის განათების ბოძების დამონტაჟება, ველობილიკების, ტროტუარისა და ავტობუსის მოძრაობისთვის განკუთვნილი ზოლების მოწყობა. აღნიშნული სამუშაოები სრულად მომავალი წლისთვის დასრულდება“...

NDI და IRI საქართველოს წინააღმდეგ

სააკაშვილის პარტნიორები შიშვლები არიან!

(პირველი გვერდიდან)

შემოთავაზებულ ანალიზში ერთი შეუსაბამობა იჩენს თავს. **ერთი მხრივ, „ნაცმოძრაობისა“ და მისი ლიდერების „ღვაწლი“ რუსულ გეგმაში შემდგარი ფაქტია** და ამის ყველაზე ნათელი დასტური 2008 წლის აგვისტოს მოვლენები და შედეგებია, მაგრამ, **მეორე მხრივ,** ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის მიერ მოღალატეებად შერაცხილ და მრავალ სისტემურ დანაშაულში მხილებულ ძალას, **მთელი მმართველობის და შემდგომ პერიოდშიც, ყველაზე დიდ მხარდაჭერას, უფრო მეტიც - მფარველობას უწევდნენ მაღალი პასუხისმგებლობის ოფიციალური (სამთავრობო და არასამთავრობო) ამერიკული ინსტიტუციები, მაღალი პასუხისმგებლობის პერსონები და სხვა სუბიექტები.**

ჩემი ბოლო პერიოდის წერილების ადრესატები ქვეყნის მმართველი გუნდი და მისი ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, აგრეთვე, პოლიტიკით სიღრმისეულად დაინტერესებული საზოგადოება იყვნენ. **ამჯერად მსურს, აშშ-ის ადმინისტრაციის საქართველოზე პასუხისმგებელი სუბიექტების ყურადღება მივიპყრო.**

ბოლომდე არასდროს ვყოფილვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ხელისუფლება სისტემატურად ახდენს „გარედან დანახულის“ ანალიზს, მაგრამ **სრული რწმენით შემიძლია ვთქვა, რომ აშშ-ის შესაბამისი სამსახურები „ქვემოდან“ მიწოდებულ ყველა სიტყვას ჯეროვან ყურადღებას უთმობენ.** ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ რეაგირება არ დააყოვნებს, მაგრამ...

ზემოთ სიტყვა „შეუსაბამობა“ ვახსენე. ყველა შეუსაბამობას თავისი ლოგიკური ახსნა აქვს. **როდესაც გარემოებათა ობიექტურ ნიშნულებს შორის აცდენაა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქმედებას სუბიექტური ინტერესები ედო საფუძვლად.**

> რუსული გეგმის მთავარ ფიგურად შეირჩა, ძალიან ქართულად რომ ვთქვათ, უჯიშო და უსულგულო მედროვე და, აქედან გამომდინარე, ყველაფერზე ხელის მომწერი მიხეილ სააკაშვილი. თითქმის იმავე პრინციპით **(„ის ნაძირალაა, მაგრამ ჩვენი ნაძირალაა“)** ამერიკელებმაც, თავისი გეგმებისთვის, ამ მცირე მასშტაბის ავანტიურისტზე შეაჩერეს არჩევანი. ამ დამთხვევაში გასაკვირი არაფერია, ოცდამეერთე საუკუნე ორმაგი აგენტების ხანაა. **აქ მთავარი სხვა რამაა:**

ამ არჩევანით რატომ დარჩა წაგებული საქართველო, ხოლო მოგებული რუსეთი? და კიდევ ერთი, ამ წარუმატებელი ექსპერიმენტიდან (ძალიან მიმძიმს ამ სიტყვის ხმარება, როცა საქმე ჩემ ქვეყანას ეხება) **რა დასკვნები გამოიტანეს ჩვენმა ამერიკელმა პარტნიორებმა?**

ჩემს წინა წერილში („რეპორტიორი“, 26.10.2019) ვწერდი: **„საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესისადმი გარკვეული დასავლური ჯგუფების დამოკიდებულება ლოგიკის ჩარჩოებს სცდება და მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს ქვეყნისა და ხალხისთვის“.** ეს მძიმე შეფასება, ბუნებრივია, ფაქტებითა და არგუმენტებით იყო გამყარებული. მთავარი დასკვნა კი ის გახლდათ, რომ მიზეზად სუბიექტურ ინტერესებს ვასახელებდი. მეტი კონკრეტიკისთვის დავამატებდი, რომ არ არის გამორიცხული კერძო, მერკანტილურ ინტერესებთან გვქონდეს საქმე.

სამაგალითოდ, შეიძლება განვიხილოთ საქართველოში ორი ამერიკული ორგანიზაციის, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) საქმიანობა. საქართველოს წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი და დამანგრეველი „მოღვაწეობით“ გაწამებული და შეურაცხყოფილი ადამიანების (ასი ათასობით ადამიანის) მხრიდან ყველაზე მეტი უკმაყოფილება სწორედ ამ ინსტიტუტების მიმართ გამოითქმოდა და გამოითქმის.

უბრალო ენით რომ ვთქვათ, **საქართველოში ერთ კაცს ვერ ნახავთ, NDI-ისა და IRI-ის „პოლიტიკურ ანგარიშებთან“ დაკავშირებით ერთხელ მაინც არ წამოსცდენოდეს – „მაშ, მტყუანის...“ და ერთ ქალს ვერ ნახავთ, ერთხელ მაინც არ აღმოხდენოდეს – „ისე თქვენ გაიხარეთ...“, ან – „მაგ სიმართლით იარეთო“.**

„სამართლიანობისთვის“ უნდა აღინიშნოს, რომ უკმაყოფილების განცდა ბევრმა სხვამაც დაგვიტოვა (მეთიუ ბრაიზა, ბრიჯით ბრინკლი, ვიქტორია ნულანდი, რამდენიმე ელჩი), მაგრამ ამ სიმრავლეშიც **ენ-დი-აი** და **აი-ერ-აი** მაინც სხვანაირად „გამორჩეულები“ იყვნენ.

აშკარა და თვალშისაცემი გახლდათ, პირველ რიგში NDI-ის, ამ მაღალორგანიზებული სუბიექტის მეწინავე როლი განწყობების შექმნის თვალსაზრისით, როგორც საქართველოში, ისე, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში. უნდა ვივარაუდოთ, ეს პატივი მან იმით დაიმსახურა, რომ მეგობარი სახელმწიფოების წარმომადგენლებიდან პირველი იყო, ვინც აქტიურად ჩაერთო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ისიც აშკარა იყო, რომ IRI დამხმარე ძალის, ზურგის გამმაგრებლის როლს ასრულებდა, ანუ ფუნქციები იმთავითვე მკაცრად იყო განსაზღვრული და გამიჯნული და ერთ მთლიან ინტერესს ემსახურებოდა.

NDI-ისა და IRI-ის საქმიანობების უარყოფითად შეფასების მთავარი თვალსაჩინო მახასიათებელი, შეიძლება ითქვას – „საფირმო ნიშანი“, არის ე.წ. სოციოლოგიური კვლევები. თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში შედგენილი ათეულობით დოკუმენტიდან ვერ გაიხსენებთ რეალობასთან ოდნავ მაინც მიახლოებულ ერთ ანგარიშსაც კი. პოლიტიკოსთა უკმაყოფილო ნაწილი დიპლომატიური ხერხებით ცდილობდა (და ცდილობს), ისრები დაკვეთის შემსრულებელი ორგანიზაციებისკენ მიემართა, იმის იმედით, რომ ამერიკის ადმინისტრაცია და მისი წარმომადგენლობა, საელჩოს სახით, დააფასებდნენ ორმხრივი ურთიერთობის გაფრთხილების ამგვარ გამოხატულებას.

სამწუხაროდ, ვითარება არ იცვლება – **ავტორიტეტულ ამერიკულ ინსტიტუტებს 25-ზე მეტი წლის წინ არჩეული „კურსიდან“, რაც არა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში დახმარებას, არამედ „თავისი ნაძირალეებისთვის“ პოზიციების გამაგრებას გულისხმობს, არ გადაუხვევია.**

* * *

ამ წერილის გამოქვეყნება ერთი თვის წინ დავაანონსე („რეპორტიორი“, 26.10.2019). პირობა სამი დღის თავზე შესრულებული მქონდა, მაგრამ დასაბეჭდად გადაცემაზე ფეხს ვითრევდი, რადგან ვშიშობდი, დიდ კაცებთან ჩემისთანა პატარა კაცის შეჯახება „ოცნებისთვის“ ზიანის მომტანი არ ყოფილიყო, მაგრამ...

> მაგრამ, **„არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს“...**

უცაბედად, „ცარიელ ადგილზე“ სკანდალმა იფეთქა! სწორედაც რომ უდიდესი საერთაშორისო სკანდალია ის ინფორმაცია, რომელიც ქართველმა ექსპერტებმა მოიძიეს აშშ-ის ოფიციალურ წყაროებში – **„IRI-ის თავმჯდომარის მოადგილე რენდი შენემანი, რომელიც ასევე ფლობს PR-კომპანია Orion Strategies, 2004 წლიდან „ნაციონალური მოძრაობის“ ოფიციალური აგენტია (ლობისტია) ამერიკის შეერთებულ შტატებში“.**

სახეზეა ისეთი ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც, დემოკრატიის ფლაგმანი ქვეყნის ავტორიტეტიდან გამომდინარე, დღემდე შეუძლებლად მიგვაჩნდა. სახეზეა კერძო ინტერესებისა და ორი პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესების დაპირისპირება, რომელშიც დაზარალებული საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატებია(!), ხოლო მოგებული – რუსეთი და ერთი კერძო ლობისტური კომპანია(?).

მეხივით გამსკდარმა ახალმა ამბავმა გაამყარა ჩემი ანალიზი და საკმაოდ მძიმე და უაღრესად სამწუხარო დასკვნები.

NDI-ის როლი ქართული პოლიტიკის განსაზღვრაში განვითარების ყველა ეტაპზე თვალსაჩინო გახლდათ. **თბილისის ოფისის პირველმა ხელმძღვანელმა დენიელ კუნინმა, მოღვაწეობის საწყის პერიოდშივე გადაწყვიტა, რომ ქართველ ხალხს თავისი ქვეყნის მომავალი ჟვანია-სააკაშვილის ტანდემისთვის უნდა მიენდო.** მესმის, რომ ეს ყველაფერი ძალზე შეურაცხმყოფელად ჟღერს, მაგრამ ამ გადასახედიდან ფაქტები სხვა შეფასებების გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს.

„ახალგაზრდა რეფორმატორებად“ სახელდებული გუნდისთვის მხარდაჭერა როგორც ღია (პოზიტიური „დაკლადები“), ისე ფარული სახითაც („გადაცდომებზე“ თვალის დახუჭვა) ხდებოდა. „გადაცდომებში“, მაგალითად, არც მეტი, არც ნაკლები, სხვადასხვა დონის (უკლებლივ ყველა!) არჩევნების ფართომასშტაბიანი გაყალბებები იგულისხმება.

არჩევნების თემა ხაზგასმით იმიტომ გამოვყავი, რომ **NDI-ის, IRI-ისა და „ახალგაზრდა რეფორმატორების“ გეგმის მთავარ მიზნად, იმთავითვე, ახალი ტიპის ერთპარტიული მმართველობის ჩამოყალიბება იქცა.** სიახლე, ერთი მხრივ, პოლიტიკური ველის მოსუფთავებას, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც დემოკრატიული, ისე არადემოკრატიული სამყაროსთვის სრულიად „ნოუ-ჰაუ“ სისტემის, თვისებრივად ახალი მონსტრის, **„მრავალთავიანი გველეშაპის“ მოდელირებას გულისხმობდა.**

აღნიშნულ თემაზე ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, მაგრამ, ვინაიდან ეს მახინჯი სისტემა დღესაც მუშაობს, ვფიქრობ, ღირს, მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენო მისი არსი – **მმართველი პარტიის (ჯერ „მოქალაქეთა კავშირი“, შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“) ირგვლივ იქმნება ფსევდოოპოზიციური სატელიტი პარტიების, მართვადი მედიის, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფებისა და ე.წ. ექსპერტების ერთიანი ქსელი. ეს ერთობა მთლიანად ავსებს ჭეშმარიტი ოპოზიციური აზრისგან მთლიანად გაწმენდილ პოლიტიკურ ველს და გარე თვალისთვის ქმნის ფსევდოდემოკრატიულ სურათს.**

ჟვანია-სააკაშვილისა და მათი მეგობრებისთვის შექმნილი ახალი „სიბრძნე სიცრუისას“ მეტი თვალსაჩინოებისთვის, ახლო წარსულის ქართული რეალობიდან, ერთი ასეთი მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ: **მაშინ, როცა ღვინის ფალსიფიკაცია „მოდაში იყო“, „კრეატიული ქართველებით“ დასახლებულ ერთ რეგიონში ასეთი მარკეტინგული ხერხი გამოიგონეს: მიწაში ჩამარხულ ერთ მრავალტონიან ცისტერნას ათამდე ქვევრის თავს მოარგებდნენ ხოლმე და ღვინის საყიდლად მისულ „კლიენტს“ სთავაზობდნენ, „რამდენიმე ჭურჭლიდან“ თვითონ გაეკეთებინა არჩევანი.** სწორედ ასეთ ფალსიფიკაციასთან გვქონდა და გვაქვს საქმე ნაცრეჟიმისთვის შექმნილი სისტემის შემთხვევაშიც.

შეიძლება NDI-ისა და IRI-ის მესვეურებმა იუარონ, ჩვენ ამ საქმეში მონაწილეობა არ მიგვიღიაო და მტკიცებულებები მოითხოვონ, მაგრამ **რეჟიმის მუდმივი და უპირობო მხარდაჭერა და შემდეგ ამ მრავალ სისტემურ დანაშაულში მხილებული მავნებლებისთვის „ხრამში გადაყოლა“ განა მტკიცებულება არაა, „კვლევებით“ მუდმივ მანიპულირებაზე რომ არაფერი ვთქვათ?** სადაა აქ საქართველო და ქართველი ხალხი?

შემთხვევითი არაა, რომ დენიელ კუნინი და მის შემდეგ მოსული NDI-ის თითქმის ყველა ხელმძღვანელი, ვადის ამოწურვის მიუხედავად, დიდხანს შემორჩნენ საქართველოს, ვიტყოდი, როგორც ბუზი თაფლს. მაგალითად, იგივე ბატონი კუნინი, ყველას რომელიმე სხვა „ახალი დემოკრატიის“ ქვეყანაში რომ გვეგონა გამწესებული, რადგან ჩვენთან მისი ორგანიზაციის უკვე მეოთხე თუ მეხუთე ხელმძღვანელი იყო დელეგირებული, „უცაბედად“, ავადსახსენებელ ჯორჯ სოროსთან ერთად წარმოგვიდგა ახლად გაპრეზიდენტებული სააკაშვილის პირველ უცხოურ პრესკონფერენციაზე, როგორც ჩვენი ქვეყნის პირველი პირის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი.

NDI-ის ნეგატიური როლი ქართულ პოლიტიკურ პროცესში არც „გარედან“ მაყურებლისთვის დარჩენილა შეუმჩნეველი. მხოლოდ ერთ მაგალითს შეგახსენებთ – NDI-ის გამოცდილი თანამშრომელი, მრავალ პრობლემურ ქვეყანაში ნამუშევარი ამერიკელი ექსპერტი გრეგორი მინჯეკი, ჯერ კიდევ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე წერდა (მოვიტან ამონარიდებს მისი ინტერვიუდან):

> **„დღევანდელი NDI-ის ქართული ოფისის საქმიანობით გაკვირვებული ვარ“. „ის, რასაც NDI აკეთებს საქართველოში, არ ემსახურება დემოკრატიის მშენებლობას“. „ის (NDI) ხელს უწყობს სააკაშვილის დანაშაულებსა და შეცდომებს.“ „ის მეთოდები, რომლებითაც საქართველოში NDI მუშაობს, სრულიად გაუგებარია.“ „ჩავეძიე, თუ როგორ ატარებენ გამოკითხვას, რა მექანიზმით და მივიღე ძალზე არასახარბიელო პასუხი. ამ თემაზე პრესაში ვერ ვილაპარაკებ... მათი დასმული კითხვები და კვლევის მეთოდები არ შეესაბამება ორგანიზაციის მუშაობის წესებს. კითხვები არასწორად არის შედგენილი. აშკარაა ინტერესთა კონფლიქტი, რაც კანონით ისჯება.“ „NDI-ისა და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციების ყოფილი თანამშრომლები მმართველი პარტიის სიით იყრიან კენჭს“. „პირდაპირ გეტყვით – NDI-ის ამერიკელი თანამშრომლები მუშაობენ სააკაშვილისთვის“.**

ინტერვიუს დასკვნით ნაწილში ბატონი მინჯეკი იმედს გამოთქვამს, რომ მალე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება, რადგან **„NDI-ის სათავო ოფისს უკვე აქვს ინფორმაცია, თუ როგორ მუშაობს NDI-ის საქართველოს ოფისი“.**

აქ დგება მომენტი, როცა **სათქმელი საზოგადოებამ უნდა თქვას** (ხელისუფლება, როგორც ჩანს, მართლაც შეზღუდულია იმ მიზეზიდან გამომდინარე, რაზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრე), რადგან NDI-ის სათავო ოფისს ნულოვანი რეაქცია აქვს იმ ყველაფერზე, რა უმსგავსობასაც NDI-ის საქართველოს ოფისი სჩადიოდა და სჩადის ათწლეულების განმავლობაში.

ბიძინა დვალი

(გაგრძელება იქნება)

ავადმყოფი გვარამია „ჯოჯოხეთს“ ოფიციალურად გვიანონსებს!

სამოქალაქო დაპირისპირება საქართველოში არ მიმდინარეობს. მეტიც, საერთოდაც, დაპირისპირებაც კი არ მიმდინარეობს.

საქართველოში, უზურპატორის და მის მიერ დაქირავებული ხუნვეიბინების (ერთ დროს საამაყო ქართული პოლიცია რომ ერქვა) და მანქურთების (ერთ დროს „ქართული ოცნების“ მომხრეები რომ იყვნენ) თავდასხმაა ქვეყნის მოსახლეობაზე.

ამიტომაც, უზურპატორის წინააღმდეგ, რომელიც არც თავისი ნებით მიდის და მისი ხელისუფლებიდან გაშვების ლეგალურ გზებსაც გვართმევს.

ჩვენ, ქართველმა პატრიოტმა მედასავლეთეებმა, უნდა გამოვიყენოთ ქვეყნის გადარჩენის ბოლო ლეგიტიმური გზა და უზურპატორი, თავის ხუნვეიბიენებიან-მანქურთებიანად, უნდა დავამხოთ!

სხვა არჩევანი უბრალოდ აღარ დაგვრჩა. თუ არა და — სამშობლოს დავკარგავთ!

ნიკა გვარამია.

ნიკა გვარამიას ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდებას, რა თქმა უნდა, სააკაშვილიც იზიარებს!

გვარამიამ შენიღბვის მიზნით, 76 000 ევროდ ღირებული ავტომობილი კომპანიის სახელზე გააფორმა!

ბრალდებული ნიკა გვარამია გამოკითხვასა და აღკვეთის ღონისძიების განხილვაზე აპელირებდა ფინანსური მდგომარეობით და ერთ-ერთ არგუმენტად მოიყვანა ისიც, რომ საკუთრებაში მანქანაც კი არა ჰყავს, — ამის შესახებ „რუსთავი-2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას საქმის პროკურორმა ზვიად გუბელაძემ განაცხადა.

ზვიად გუბელაძემ აღნიშნა, რომ ნიკა გვარამიამ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში სარეკლამო რგოლების განთავსების სანაცვლოდ საკუთრებაში მიიღო დაახლოებით 76 000 ევროდ ღირებული ავტომობილი და ამ სქემის შენიღბვის მიზნით ხსენებული ავტომობილი გაფორმა კომპანიის შპს „პროესკო მედიას“ სახელზე.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, უფიქრია თუ არა გამოძიებას, ამოეღო კამერის ჩანაწერები „რუსთავი-2“-ის მიმდებარე ტერიტორიიდან და ამით დაედგინა, სარგებლობდა თუ არა ნიკა გვარამია მანქანით, პროკურორმა განმარტა, რომ გამოძიების დაწყების პერიოდში ნიკა გვარამია სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის დირექტორი აღარ იყო.

„ნიკა გვარამია თავადაც არ სარგებლობდა ამ ავტომობილით, სარგებლობდნენ მისი ოჯახის წევრები და ეს ავტომობილი, როგორც საკუთრება იყო შენიღბული. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ეს არ იყო არც ბრალდებულის სახელზე, არც მისი ოჯახის რომელიმე წევრის სახელზე, ავტომანქანა გაფორმებული იყო კომპანიის, შპს „პროესკო მედიას“ სახელზე. არსებული მტკიცებულებებით, ეს იყო შენიღბვის მიზნით გაკეთებული და რეალურად მან უსასყიდლოდ, „რუსთავი-2“-ზე გაშვებული რეკლამის სანაცვლოდ მიიღო აღნიშნული ავტომობილი“, — განაცხადა ზვიად გუბელაძემ.

პროკურორმა ასევე აღნიშნა, რომ სასამართლოს განჩინების შედეგად ავტომანქანაზე თვალთვალის დროს ავტომანქანა ნიკა გვარამიას ოჯახს დაბრუნებული არ ჰყავდა. ის დააბრუნეს მას შემდეგ, რაც გამოძიებამ დოკუმენტები ამოიღო „პროესკო მედიადან“ და ბრალდებულისთვის ნათელი გახდა, რომ გამოძიება ამ კომპანიითაც დაინტერესდა.

„ამის შემდგომ მოხდა ავტომობილის დაბრუნება და ესეც კარგად მიუთითებს, რეალურად ვისი იყო ეს ავტომობილი. ფარული საგამოძიებო მოქმედება იყო ერთადერთი ღონისძიება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ნამდვილად ნიკა გვარამიას ოჯახის სარგებლობაში იყო ეს ავტომობილი“, — განაცხადა პროკურორმა ზვიად გუბელაძემ.

არჩილ თალაკვაძე გვარამიას განცხადებას ღიმილით აფასებს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე **„მთავარი არხის“ ხელმძღვანელის ნიკა გვარამიას მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ განცხადებას გამოეხმაურა.** თალაკვაძე აცხადებს, რომ გვარამიას განცხადებას ხელისუფლების დამხობის შესახებ, ღიმილით შეაფასებს.

„მართალი გითხრათ, არ წამიკითხავს მისი სტატუსი და სერიოზული კომენტარის გაკეთება გამიჭირდება. ეს არის ადამიანი, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ თავის მედიასაშუალებას იყენებდა პილიტიკური მიზნებისთვის და, სამწუხაროდ, ამაზე თქვენ, ჟურნალისტებს არ გქონდათ შესაბამისი რეაქცია. მესმის თქვენიც. ამიტომ ჩვენ გვაქვს ამაზე რეაქცია. მიუღებელია, როდესაც პოლიტიკური პარტია ოპოზიციიდან ამბობს, რომ მედიას იყენებს პოლიტიკური მიზნებისთვის. მედია უნდა იყოს თავისუფალი, ობიექტური და დამოუკიდებელი რომელიმე პოლიტიკური პარტიის ისეთი ჩარევისგან, რასაც ამ შემთხვევაში თქვენ მიერ დასახელებული ადამიანი ახორციელებს. მე ნიკა გვარამიას განცხადებას უბრალოდ ღიმილით შევაფასებდი“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

ხათუნა ხოფერია: ჯერ სად ხართ!

საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი **ხათუნა ხოფერია** ხელისუფლების დამხობასთან დაკავშირებით ტელეკომპანია „მთავარის“ ხელმძღვანელის ნიკა გვარამიას ფეისბუქსტატუსს ეხმაურება.

„1. ხომ დაგაყენათ ბიძინამ ყინვაში და გამღერათ საქართველოს ჰიმნი აკაპელათი!

2. ხომ დარბის მიშა ჯვარამოგდებული!

3. ხომ მიმართავს ბოკერია ხალხს ღმერთის შემწეობის იმედით!

4. ხომ ციტირებს ზეპირად უგულავა ბიბლიას და სახარებას!

5. ხომ გაიხსენეთ, რომ არსებობს სიტყვა — პატრიოტები!

6. ხომ დაფიქრდით, რომ საქართველო პირველ რიგში სამშობლო უნდა იყოს!

ჯერ სად ხართ!

ჯერ ჰიპნოზში ხართ და დავიწყებულ, უარყოფილ ემოციებს იხსენებთ!

ეს თქვენი კათარზისია!

ჯოჯოხეთი წინაა!“.

გუბაზ სანიკიძე პოლიციელებს:

ნახევარი მილიონი ქართველი გამოვა ორლულიანი თოფებით და თქვენზე დაიწყებენ ნადირობას!..

გუბაზ სანიკიძემ სამართალდამცველებს მოუწოდა, რომ „ხალხის მხარეს დადგნენ“.

„ფრთხილად იყავი, ბიძინა, ვინმე არ შემოგაკვდეს. პოლიცია, ფრთხილად იყავით, თორემ სახელით და გვარებით მოგაკითხავთ სუყველას. ტყავში დაეტიეთ, პოლიციელებო, აღარ გიჩლიქავთ ენას. თუ რამის თავი გაქვთ, ქენით რა, დადექით ხალხის გვერდზე. რაის კაცები ხართ თქვენ, ინგუშეთში სპეცრაზმი და პოლიცია ხალხის მხარეზე გადავიდა, ვერ გაბედა და ხელი ვერ გაანძრია ფედერალურმა ხელისუფლებამ რუსეთში, გადააგდეს ევკუროვი ინგუშეთის პრეზიდენტი. მთელი სპეცრაზმი და პოლიცია ხალხის მხარეზე გადავიდა. რისი კაცები ხართ თქვენ? ბიძინას მონები ხართ. რომელ ბრძანებას ასრულებთ, რომაელმა ლეგიონერებმაც ბრძანება შეასრულეს, როცა ქრისტე გააკრეს ჯვარზე, ჩემთვის ქრისტე და სამშობლო ერთი და იგივეა. სამშობლოს აკრავთ თქვენ ჯვარზე. რომელ კანონს იცავთ, კობახიძის კანონს? სახელმწიფო გადატრიალებას აწყობდნენ, თურმე ახალგაზრდები. გავრილოვი ვინ ჩასვა იქ, ჩვენ ჩავსვით? ზვიად გამსახურდიას სავარძელში რა უნდოდა ვინმე გავრილოვს. ქართველების მოძულეს რა უნდოდა, პოლიციელებო, რატომ იჯდა ზვიად გამსახურდიას სავარძელში? ჩვენ ჩავსვით, ოპოზიციამ, თუ ამ ბავშვებმა ჩასვეს. მაგ თქვენმა ნაძირალა ბიძინამ ჩასვა და ასე გიპირებთ. წადით, დაიკერეთ რუსული პაგონები, რაღას ელოდებით. გადადით ლარსის ქედზე და დაგირიგებთ პუტინი ჩინმედლებს. ვის ემსახურებით, ბიძინას? ბიძინაა თქვენი სამშობლო? ყველა როგორ გვჯობნის, გულგასიებული ვარ, რა ქნეს ინგუშმა პოლიციელებმა, მომიტინგეებთან ერთად ლოცულობდნენ. ამ გაწევ-გამოწევაში და ბავშვების ცემა-ტყეპაში ვინმე არ შემოგაკვდეთ, თორემ პიკეტი კი არა, ნახევარი მილიონი ქართველი გამოვა ორლულიანი თოფებით და თქვენზე დაიწყებენ ნადირობას“, — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

ფოთის პორტში ამერიკულმა გემმა 27 000 ტონა ხორბალი შემოიტანა

ფოთის პორტში ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) პროგრამის „სურსათი — პროგრესისათვის“ ფარგლებში ამერიკულმა გემმა 27 ათასი ტონა ხორბალი შემოიტანა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული პროგრამის განხორციელება სამი წლის წინ, აშშ-ისა და საქართველოს მხარეებს შორის შეთანხმებით დაიწყო. ხუთწლიან პროგრამას, რომლის ბიუჯეტი 14 მილიონ დოლარზე მეტია, კომპანია „ლენ ო ლეიკსი“ (Land O'Lakes) ახორციელებს საქართველოს მთავრობასთან, მიჩიგანის უნივერსიტეტთან და საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან თანამშრომლობით. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას და წვლილი შეიტანოს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაში.

როგორც შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ დირექტორმა ქეთევან კუბლაშვილმა აღნიშნა, ამერიკული ხორბლის საქართველოში შემოტანა ბაზრების დივერსიფიკაციის წარმატებული მაგალითია.

მარტო ამისთვის ღირდა სიცოცხლე!..

(პირველი გვერდიდან)

ქართველების (კონკრეტულად კი აჭარლების) საოცარი სტუმართმოყვარეობა საქვეყნოდაა აღიარებული, ამიტომ ბათუმში ჩასვლისთანავე ვინ აღარ მპატიჟებდა ოჯახში! ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ პროფესორები: შუშუნა ფუტკარაძე, თინათინ შიოშვილი, მაია ბარამიძე, მაია კიკვაძე, ნინო დოლიძე,... ერთ-ერთი მათგანი იყო ქალბატონი ეთერ ბერიძე – ბატონი აკაკის ახლო ნათესავი. მაშინ ზემო აჭარაში დიფტერია მძვინვარებდა და ჯანმრთელობის იმდროინდელმა მინისტრმა, პროფესორმა აკაკი ბერიძემ ყველანაირი ნიჭი, ცოდნა, გამოცდილება თუ ჯანი და ენერგია გამოიყენა მაღალმთიანი მოსახლეობის საშინელი სენისგან გადასარჩენად. ამ ფაქტის შესახებ ბევრი რამ ვიცოდი ბათუმის უნივერსიტეტის თანამშრომელთაგან (თანაც ქალბატონები მეუბნებოდნენ – ყოველმხრივ სიმპათიური მინისტრი გვყავსო), ამიტომ, ბუნებრივია, მეც მაინტერესებდა მისი გაცნობა.

ბერიძე-მელიქიშვილებთან სტუმრად ყოფნისას მთელი ჩვენი კათედრა რექტორთან ერთად შეიკრიბა, იყვნენ ნათესავებიც, მაგრამ ვერც ერთი მათგანი აკაკი ბერიძედ ვერ წარმოვიდგინე. თამადა მაინცდამაინც კარგი არ აღმოჩნდა და ქალბატონმა ეთერმა მიჩურჩულა: აფსუს, ჩემი ბიძაშვილი აკაკი ბერიძე – ბრწყინვალე თამადაა. ვთხოვე, მომეცი-მეთქი ტელეფონის ნომერი და ვეტყვი, როცა შეეძლება, მაშინ გვესტუმროს-თქო. იქიდან მართლაც საოცრად სიმპათიური ხმა მოისმა: „მატარებელში ვზივართ, თბილისიდან მოვდივარ ბათუმში, თათბირზე გახლდით. ახლა ხაშურში ვარ და, ვიდრე ჩამოვალ, თქვენ უკვე გეძინებათო“. კინაღამ გავგიჟდი, ჯერ, მატარებლით რომ მგზავრობს, ისეთი სახელმწიფო მოღვაწე არ მენახა და კიდევ ერთხელ ვთხოვე:

– ხაშური ბათუმიდან არც ისე შორსაა და იქნებ მობრძანდეთ?

პასუხად მატარებლიდან:

– „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები,
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი“...

ახლა მთლად გადავირიე – მას რაღაც კი სცოდნია ჩემ შესახებ, მაგრამ არასდროს ვენახე და მეორე დღეს მხოლოდ ბატონი აკაკისთვის გაიმართა პურ-მარილი. თავისთავად ცხადია, მეც დამპატიჟეს, მაგრამ რატომღაც ვერ მივაგენი ქალბატონი ეთერ ბერიძის სახლს (უმანქანოდ გახლდით და, ალბათ, იმიტომ!) და მთელი საათით დამაგვიანდა, თუმცა იოტისოდენა საყვედურიც კი არ უთქვამთ სტუმარ-მასპინძლებს. მთელი საღამოს განმავლობაში სუფრაზე იფრქვეოდა დიდი გალაკტიონის, ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძის, მუხრან მაჭავარიანისა და ზურაბ გორგილაძის ლექსები! გაოცებული ვიყავი, ასეთი სულიერი თუ გარეგნული მშვენიერებით აღსავსე პროფესორი სკალპელს როგორ ხმარობს და სიკვდილის სარეცელზე მყოფ ავადმყოფებს როგორ ფატრავს სიცოცხლის შესანარჩუნებლად-მეთქი?!

საკმაოდ ნასვამი იყო... ამიტომ ვერ გავბედე მის მანქანაში ჩაჯდომა – ძალიან ეწყინა და თავისი ფხიზელი მძღოლი გამომაყოლა.

ამის შემდეგ ათი წელი გავიდა... კი მომცა თავისი ტელეფონი, მაგრამ არც ერთხელ არ მიცდია დარეკვა (თანამდებობის პირები არ მიყვარს!). რამდენი გამახსენდებოდა, სულ ვდარდობდი, რატომ არაა აკაკი ბერიძე ფილოლოგი-მეთქი!

ამასობაში ჩემი სააგარაკე სახლის ძალიან მაღალი კიბიდან გადმოვვარდი თავსხმა წვიმაში და მომტყდა ხელიც, ფეხიც და კიდევ, ვინ იცის, რა აღარ! ღამის ორ საათზე ჩამომიყვანეს თბილისში, სადაც ძალიან ცნობილი ტრავმატოლოგი მელოდა, „დამათაბაშირეს“ და, ფაქტობრივად, ვეღარც კი ვმოძრაობდი. მაშინ უნდა დაბეჭდილიყო უზარმაზარი (836 გვ.) მონოგრაფია „კოდორული ქრონიკები“ (ჩემი დისერტანტების მიერ კოდორის ხეობაში ვიდეო-აუდიოაპარატურით დაფიქსირებული მასალების მიხედვით) და ბოლო რედაქტირება იყო საჭირო. ახლაც მიკვირს, როგორ მოვახერხე, მაგრამ, თუ ალალად ემსახურები შენს პროფესიას, თავისთავად ცხადია, ყველაფერს მიაღწევ!

გავიდა რამდენიმე თვე და პროფესორმა ბუბა კუდავამ დამპატიჟა ტაო-კლარჯეთში, ოღონდ მანამდე ქართველოლოგიური მოხსენება უნდა წამეკითხა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საერთაშორისო კონფერენციაზე, არადა, ვკოჭლობდი. ყველა თბილისელი ექიმი კატეგორიულად მოითხოვდა ოპერაციის გაკეთებას, რისიც ძალიან მეშინოდა. ბათუმლებმა მირჩიეს, მიმემართა ბატონი აკაკი ბერიძისთვის – უოპერაციოდ მოგარჩენსო... დავურეკე, მაგრამ ჩვეული ხალისიანი ხმა არ ჰქონია – ძალიან გამიკვირდა. როგორც მერე გავიგე, ბატონი ჯემალ ბერიძის 17 წლის ვაჟი – ირაკლი ავტოკატასტროფაში მოხვედრილა, მამას და ბიძას კი გულის ურთულესი ოპერაციები გაუკეთებიათ სტამბოლში. მას ამის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამს და, როცა ბათუმში ჩავედი, მაშინვე გამსინჯა. „ეს ოპერაცია მომაკვდინებელი არაა, მაგრამ, რაკიღა ასეთი მძიმე ემოციები გაქვთ, გიმკურნალებთ ტიბეტური ნატურმედიცინის მეთოდოლოგიითო“: დამინიშნა ნაირ-ნაირი კალცი და ზღვის აბაზანები – ბრწყინვალე ექიმმა ასე გადამარჩინა ხეიბრობას. ამიტომ სულ მგონია, რომ ბატონი აკაკი მხოლოდ ჩემი მკურნალია, სხვისი არავისი! – ალბათ, ყველა მისი პაციენტიც ასე ფიქრობს.

დარწმუნებული ვარ, რომ არაფრით მოვკვდები მანამ, სანამ პროფესორი აკაკი ბერიძე ცოცხალია. მან აუცილებლად უნდა ისუნთქოს მშობლიურ წალკოტში ას წლამდე მაინც! – ცნობილია, რომ მაღალმთიან აჭარაში, სვანეთში, ფშავ-ხევსურეთსა და ჩრდილო კავკასიაში დაბადებულნი ხანგრძლივად ცხოვრობენ ამქვეყნად!

რასაკვირველია, ისე როგორ გავკადნიერდები მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ნაშრომები განვიხილო – არადა, რამდენი აქვს? – უამრავი სტატია, მოხსენება, მონოგრაფია საერთაშორისო მნიშვნელობისა, დაპატენტებული თუ დაუპატენტებელი; საოცრად ორიგინალური, ყველასგან განსხვავებული მეთოდოლოგიით ჩატარებული ურთულესი ოპერაციები. ერთხელ ვკითხე, რამდენი ოპერაცია გაქვთ გაკეთებული-მეთქი? მხოლოდ გაიღიმა, არაფერი უთქვამს – მისი კოლეგების ინფორმაციით, ალბათ, ოცი ათასზე მეტი.

ახლაც კი, ამ ძალზე სერიოზულ ასაკში, როცა გამოუვალი, სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობაა, ბატონი აკაკი კვლავაც სკალპელით ხელშია შეიარაღებული, ზოგჯერ დღეში ორ-სამჯერაც. ასე იყო ამ რამდენიმე წლის წინათ – მაშინ მეც ბათუმში გახლდით:

მესამე მძიმე ოპერაციის წარმატებით დასრულების შემდეგ ღვაწლმოსილი ქირურგი ცოცხალმკვდარი დაბრუნდა შინ და, სრულიად ბუნებრივია, რომ მაშინვე ჩაეძინა, მაგრამ სწორედ იმ ღამეს ასტკივდა ერთ ბათუმელ გოგონას ბრმანაწლავი. ამ ოპერაციას ბატონი აკაკის ყველა მოწაფე ან ჩვეულებრივი მორიგე ექიმიც ნორმალურად გააკეთებდა, მაგრამ, ქართველების ამბავი მოგეხსენებათ; გოგონას ბაბუამ დაიჩემა – ჩემს ერთადერთ შვილიშვილს ვერავის ვანდობ, აკაკი ბერიძის გარდაო. ღამის ორ საათზე კარს მიადგა მძინარე ექიმს, თუმცა, მაინც ვერ გაბედა მისი შეწუხება; თავად ბატონ აკაკის გაღვიძებია მანქანის ხმაურზე და ამის შემდეგ, ცხადია, ყველაფერი დიდებულად მოგვარდა. კიდევ კარგი, ბაბუამ ვერ გაწირა შვილიშვილი, თორემ, ვინ იცის, რა მოხდებოდა? – თურმე ბრმანაწლავი მალე გასკდებოდა... მაგრამ ამით არ დამთავრებულა ყველაფერი... მალე მძიმე ეპოპეა მშვენიერებად იქცა – პატარა გოგონა მესამე დღესვე წამოხტა საწოლიდან, როგორც კი მისი ექიმი, პალატაში შევიდა (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი დღეს სახელგანთქმული კლინიკა „მედინას“ ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახლავთ) და „ბაბუ-ბაბუს“ ძახილით უკან გაეკიდა. ბატონმა აკაკიმ ძლივს დაარწმუნა ბავშვი იმაში, რომ ჯერ მისი დერეფან-დერეფან სიარული არ შეიძლებოდა. იმ საღამოს ისე მოხდა, რომ მეც დავურეკე კალცის ერთ-ერთი სახეობის მიღებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, მაშინვე ყველაფერი დიდებულად ამიხსნა (ბრწყინვალე ქირურგი პოეზიის საოცარ ცოდნასთან ერთად არაჩვეულებრივად ლოგიკურ-ორატორული ნიჭითაცაა დაჯილდოებული!), მერე კი მიამბო აპენდიციტის შესახებ, თანაც მკითხა: ხომ არ იცი, ბარბი სად იყიდებაო? მართლა გავოცდი, მაგრამ ამასობაში მის თანამშრომელს გაუგონია ჩვენი სატელეფონო საუბარი და მიუსწავლებია შესაბამისი მაღაზიის ადგილსამყოფელი. ხომ წარმოგიდგენიათ, რა სანახავი იქნებოდა 75 წლის მხცოვანი ექიმი თავისი გამოჯანმრთელებული პატარა პაციენტის წინაშე ბარბით ხელში?! თურმე 10 წლის გოგონა, საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ, შინ აღარ მიყვებოდა არც მშობლებს და არც თავის ნამდვილ ბებუას – მისთვის სიცოცხლისმჩუქებელი ახალშეძენილი თეთრხალათიანი ბაბუ მთელ ქვეყანას ერჩია...

მაღალმთიანი აჭარის სოფლის სკოლიდან მაღალაკადემიურ მეცნიერებამდე – პროფესორი აკაკი ბერიძე (მარჯვნივ) აკადემიკოს ბორის პეტროვსკისთან ერთად

კიდევ ერთი მშვენიერი ეპიზოდი მინდა, გავაცნო მკითხველს:

ჯანმრთელობის მინისტრად მუშაობის პერიოდშიც პროფესორ აკაკი ბერიძეს არ მიუტოვებია თავისი სტუდენტ-ასპირანტ-დისერტანტები და კვლავ განაგრძობდა ლექციების კითხვას თუ სადისერტაციო თემების დამუშავებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებს. მიუხედავად ამისა, ყოველთვის ცდილობდა, დასწრებოდა მწერალთა კავშირის, სამთავრობო თუ სამედიცინო ღონისძიებებს, მაგრამ ერთხელ, მაღალმთიან აჭარაში გზის ჩახერგვის გამო, მას ძალიან დაგვიანდა თავისი (და ყველა ჩვენგანის) უსაყვარლესი პოეტის ანა კალანდაძის იუბილეზე. რასაკვირველია, ქალბატონმა ანამ ეს შეამჩნია და საკმაოდ უსაყვედურა ბატონ აკაკის, პასუხად კი იცით, რა მიიღო?

– „რავი, ღრუბლებზე ვფიქრობდი
და არა გამიგია-რა“...

წარმომიდგენია, როგორ ესიამოვნებოდა ქართული პოეზიის დედოფალს ასეთი პასუხი! მე ძალიან ახლოს ვიცნობდი ქალბატონ ანას და ამის თქმის უფლება მაქვს: ჩვენ მთელი სიცოცხლე ერთ დაწესებულებაში – აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ვმოღვაწეობდით, მას ერთი დღეც კი არ უმუშავია სხვაგან (თვით მწერალთა კავშირშიც კი!).

დარწმუნებული ვარ, მედიკები იტყვიან თავიანთ სათქმელს და დაიწერება მაღალაკადემიური წიგნი პროფესორ აკაკი ბერიძეზე, როგორც ნამდვილ მეცნიერსა და არაჩვეულებრივ პრაქტიკოს ექიმზე – ამის გაკეთება ჩემს სამეცნიერო პოტენციალს აღემატება.

რაც შემიძლია, იმას კი საგანგებოდ აღვნიშნავ:

მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ ბატონი აკაკი არამხოლოდ ოფიციალური მედიცინის შესანიშნავი წარმომადგენელია, არამედ ნატურმედიცინაც ბრწყინვალედ იცის (ბოლოს და ბოლოს ამ მეთოდოლოგიით გადამარჩინა უმძიმეს ოპერაციას!), შევთავაზე, ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომი გაგვეკეთებინა.

აკადემიკოსი ნიკო მარი ჩემი (და არა მარტო!) კუმირია. 1917 წელს რევოლუციისგან აელვარებულ პეტროგრადში მან სვანურ ენაზე გამოსცა არსენ ონიანის პატარა ლექსიკონი „ხეებისა და ბალახების სახელწოდებათა კრებული“, რომელშიც დეტალური მსჯელობაა არაერთ სამკურნალო მცენარეზე. წიგნი კარგა ხანია, ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, თანაც სვანურადაა დაწერილ-დაბეჭდილი, ამიტომაც, ცხადია, თანამედროვე ექიმები და ბიოლოგები მას ვერ იყენებენ. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ამ ნაშრომში მოცემულ ტერმინთა ძირებს მეტი საერთო აქვთ ლეჩხუმურ-რაჭულ-აჭარულთან, ვიდრე ქართული ენის სხვა დიალექტებთან. ჩემს მონაფესთან – ნინო ნაკანთან (ფიტონომიის სპეციალისტთან) ერთად გადავწყვიტე, მეთარგმნა არსენ ონიანის ლექსიკონი, რომელიც დავურთე ჩვენს მონოგრაფიას „სვანეთის ფლორა“. მასზე მუშაობის პროცესში ბატონმა აკაკიმ გამაცნო სამკურნალო მცენარეებისა და ფარმაკოლოგიის ცნობილი სპეციალისტები, თავისი მეგობრები, პროფესორები რამაზ სურმანიძე და ალეკო ბაკურიძე, რომელთა სამედიცინო კონსულტაციებმა ბევრი კარგი რამ შეაძინა ჩვენს წიგნს. ამასობაში აკაკი ბერიძე 70 წლის გახდა და „სვანეთის ფლორაც“ ამ დიდებულ თარიღს მიეძღვნა. გარდა ამისა, ნატურმედიცინისა და ქართველურ ფიტოტერმინთა ისტორიის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ერთმანეთის თანაავტორობით რამდენიმე მოხსენება წავიკითხეთ: პეტერბურგში, თბილისში, მახაჩყალასა და მესტიაში.

მოგეხსენებათ, **ბერიძე** უპირველესი გვარია საქართველოში, არა მარტო რაოდენობრივად. ზოგიერთ მათგანს ბატონი აკაკი პირველად საოპერაციო მაგიდაზე ნახულობს ხოლმე, მაგრამ მაინც ყველა ნათესავად მიაჩნია, სულ ერთია, პაციენტი აჭარელია, მესხია, ჯავახია, გურულია, იმერელი თუ რაჭველი და ამიტომ, თავისთავად ცხადია, ავადმყოფებთან ურთიერთობაში გადამწყვეტი ძალა უანგარობაა. ასევე გვექცევა პროფესორი აკაკი ბერიძე მეცნიერებსაც, რადგანაც ჩვენს დაქცეულ ქვეყანაში აღარავის ვახსოვართ.

ქართველები განსაკუთრებული ნიჭიერებით გამორჩეული ხალხი ვართ, ამიტომაც საქართველოში საუკეთესო ქირურგი არაერთი გვყავს, მაგრამ ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ პროფესორ აკაკი ბერიძეზე, რომ ის სწორედ დღეს გახდა 80 წლისა და ახლაც ურთულეს ოპერაციებს აკეთებს (მათგან 14 ტიპი საკუთარი ორიგინალური მეთოდოლოგიისაა, ხოლო 44 – აჭარაში პირველად მის მიერაა შესრულებული). გარდა ამისა, იგი აღიზარდა ნური და ლევან ბერიძეების საგანმანათლებლო ტრადიციებზე, სკოლა ოქროს მედალზე, ხოლო სამედიცინო ინსტიტუტი წარჩინებით (ე.წ. წითელი დიპლომით) დაამთავრა, **სამეცნიერო საქმიანობა კი ახალგაზრდობიდანვე წარმართა დიდი აკადემიკოსების მამია კომახიძისა და ნინო ჯავახიშვილის უშუალო მეთვალყურეობით**.

ბატონი აკაკი დიდხანს მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკურ საავადმყოფოში, აქაც სახელოვნად, მაგრამ ვერ გაძლო თავისი „ღელე-ღურდანის“ გარეშე და როცა მშობლებს მისი, როგორც ექიმის, ხელი დასჭირდათ, თბილისიდან ბათუმში გადავიდა საცხოვრებლად... ხალხი პირიქით აკეთებს – ყველა დედაქალაქში ჩამორბის, სადაც ცხოვრება უკვე აღარ შეიძლება, მალე ვეღარც მანქანით გაივლი ქუჩაში და ვეღარც – ფეხით.

შეუძლებელია უცრემლოდ წაიკითხო პროფესორ აკაკი ბერიძის სულის ამოძახილი! –

„მთა ჩემი სალოცავია... სულ მენატრება..., მშობლიური ოლადაური კი ადგილის დედაა, საიდანაც იწყება ჩემი თვალსაწიერი და სანუკვარი საქართველო...

სოფელში რომ ავდივარ, სადაც არც ერთი ოჯახის კარი არასდროს იკეტება, ვგრძნობ, რომ შინაგანად ანგარიშს ვაბარებ აქაურობას ჩემი საქმიანობის შესახებ და უკან უფრო განწმენდილი ვბრუნდები...

ქირურგია ხომ ღვთაებრივი ხელოვნებაა!..

იზა ჩანტლაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უვადო მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

რა ვადამდელი, რის ვადამდელი!..

რას მოიტანს საპროტესტო აქციები?!

რას მოუტანს ხელისუფლებას რკინის ჯებირებით პარლამენტის შენობის ჩახერგვა და იზოლაცია?! ჯერ კიდევ სექტემბერში განვითარებული მოვლენები იმის თქმის საშუალებას იძლეოდა, თითქოს ხელისუფლება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა. გახარიას გაპრემიერება სხვა არაფერი იყო, თუ არა ბიძინა ივანიშვილის გათვლა, რომ პოლიტიკური სპექტრის პოლარიზაცია მოხდებოდა და ვადამდელი არჩევნები მაჟორიტარული სისტემით ჩატარდებოდა. თუკი ვადამდელი არჩევნები დაინიშნებოდა, მაშინ მმართველ გუნდს აღარ მოუწევდა პროპორციული სისტემის უკან წაღება და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე სიტყვის გამტეხის სახელის დამკვიდრება. თუმცა სექტემბრის ნაცვლად, მოვლენები ნოემბერში მას შემდეგ დაიძაბა, რაც ხელისუფლებამ პროპორციული სისტემის უკან წაღება გადაწყვიტა.

ჩატარდება თუ არა ვადამდელი არჩევნები?!

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** აცხადებს, რომ ვადამდელი არჩევნების ჩატარება დამოკიდებული იქნება იმაზე, საპროტესტო აქციებს მოჰყვება თუ არა ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა. ასევე, ეს დამოკიდებულია ხელისუფლების ფატალურ შეცდომებზე. თუ მმართველი გუნდი მძიმე შეცდომებს დაუშვებს, მაშინ საჭირო გახდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა.

„ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ ორ ვარიანტში: პირველი, რევოლუციის დროს, თუკი ხელისუფლებას დაამხობენ არაკონსტიტუციური გზით და ასეთ დროს ბუნებრივად დაინიშნება ვადამდელი არჩევნები. მეორე ვარიანტია, თუკი კონსტიტუციური მექანიზმებით მოხდება ვადამდელი არჩევნების დანიშვნა, ანუ „ქართული ოცნება“ დაკარგავს უმრავლესობას, ან მთავრობა გადადგება, ან ბიუჯეტი არ დამტკიცდება და პრეზიდენტი იძულებული გახდება, დაითხოვოს პარლამენტი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვადამდელის დანიშვნის ორი ვარიანტი არსებობს — კონსტიტუციური და არაკონსტიტუციური“, — აღნიშნა ზაალ ანჯაფარიძემ.

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** აცხადებს, რომ დღეს სიტუაცია იმდენად ბუნდოვანი და ბურუსით მოცულია, რომ ვერავინ მოგვცემს ფუტუროლოგიურ პროგნოზსაც კი, დაინიშნება თუ არა ვადამდელი არჩევნები.

„პროპორციული ნულოვანი ბარიერის შემოღება პოლიტიკური შეცდომა იყო. 1992 წელს ჩვენ გავიარეთ ეს პროცესი. 1992 წლის არჩევნები, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის პერიოდს დაემთხვა, სწორედ ნულოვანი ბარიერით ჩატარდა. იმ პერიოდში 50 პარტია იყო საქართველოში, შესაბამისად, 50-ივე პარტიის წარმომადგენლები შევიდნენ პარლამენტში და ერთი წლის განმავლობაში მაშინდელმა პარლამენტმა ვერ შეძლო სახელმწიფო საბჭოს მიერ დანიშნული მთავრობის თუნდაც შეცვლაც კი. თენგიზ სიგუა, რომელიც სახელმწიფო საბჭოს მიერ იყო დანიშნული, ახალი პარლამენტის პერიოდშიც ასრულებდა მოვალეობას. ერთი წლის შემდეგ შევარდნაძემ მაინც შეძლო, შეაკოწიწა უმრავლესობა — ბლოკი „მშვიდობა“, რაღაცნაირად მოახერხა მთავრობის დაკომპლექტება და ერთი წლის მერე ჩვენ უკვე გვყავდა ახალი პარლამენტის მიერ დანიშნული ოთარ ფაცაციას მთავრობა. შევარდაძის ქარიზმატული ფიგურა რომ არა, ჩვენ მივიღებდით კლასიკურ საპარლამენტო კრიზისს, საპარლამენტო კრიზისის საშიშროება ჩვენს პირობებში არსებობდა. რაც შეეხება დღევანდელობას, დღესაც პროპორციული სისტემით ვინც შევიდოდა პარლამენტში, გამორჩეული ლიდერი მათ ნამდვილად არ ეყოლებოდათ. ერთადერთი გამონაკლისი იქნებოდა, თუკი თვითონ ბიძინა ივანიშვილი ჩაუდგებოდა „ქართულ ოცნებას“ სათავეში, შევიდოდა პარლამენტში, გახდებოდა პარლამენტის თავმჯდომარე. მხოლოდ ივანიშვილი თუ შეძლებდა კონსენსუსის მიღწევას, მაგრამ ეჭვი მეპარება, ბიძინა ივანიშვილს აეღო პასუხისმგებლობა და გამხდარიყო პარლამენტის თავმჯდომარე“, — აცხადებს ვახტანგ მაისაია და მიიჩნევს, რომ ზემოთქმულის მიუხედავად, თუკი პროპორციული სისტემის შესახებ დაპირებას იძლევი, გინდა თუ არა, ეს დაპირება უნდა შეასრულო.

ანალიტიკოსის აზრით, შესაძლოა, კულუარებში ბიძინა ივანიშვილი დაარწმუნეს, რომ პროპორციული სისტემა უნდა ჩავარდნილიყო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ბიძინას ამის გამო ხინჯი დარჩებოდა.

„ჩემი აზრით, ვადამდელი არჩევნები არ იქნება, რადგან გაერთიანებულ ოპოზიციას არ გააჩნია მხარდაჭერა და ძირითადად ემყარება „ნაცმოძრაობის“ ელექტორატს. ის ჩუმი ელექტორატი კი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ მხარს უჭერდა და ახლა მხარს არ უჭერს, „ოცნების“ წინააღმდეგ არ გამოდის და ნეიტრალურ სიტუაციაშია. ნეიტრალური ადამიანები გაერთიანებულ ოპოზიციას თავს არ გამოაყენებინებენ მერკანტილური ინტერესებისთვის. ჩვენმა ელექტორატმა ძალიან კარგად იცის, რომ გაერთიანებულ ოპოზიციაში მყოფი ორი ძალა — „ნაცმოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ ძალიან ცუდი ისტორიაა. შესაბამისად, მათ მიერ წამოყენებული ვადამდელი არჩევნები არ შედგება“.

ექსპერტი **დემურ გიორხელიძე** მიიჩნევს, რომ ვადამდელი არჩევნების ჩატარება დამოკიდებულია ზეწოლის ხარისხზე და იმაზეც, რამდენად გონივრულ პოლიტიკურ ნაბიჯებს გადადგამენ ოპოზიციაში მყოფი ძალები.

„ვინმეს დემონიზირება კონტრპროდუქტიულია. ეს არ არის „ნაცმოძრაობის“ პროტესტი, ხელისუფლების მიმართ საზოგადოებრივი განწყობები ძალიან ცუდია და ეს განწყობები არ გაუმჯობესდება. ვცდილობ, თვალყური ვადევნო, იქნებ, ხელისუფლებამ რაღაც საიმედო, გონივრული ნაბიჯი გადადგას, მაგრამ არაფერი. ალბათ, ხელისუფლებას იმედი აქვს, კონფრონტაციაზე თუ წავა, მოიგებს. შემიძლია, გარანტირებულად გითხრათ, რომ ხელისუფლება კონფრონტაციით წააგებს“.

მანანა ნოზაძე

ყურებს ნუ ჩამოვყრით, მშვენიერი ახალგაზრდობა მოდის!

მაკიაველისა და პლუტარქეს შრომებზე მუშაობამ გარკვეული საკუთარი შეხედულებები გამიჩინა სახელისუფლო ძალაუფლებასთან მიმართებაში. ვინ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში?! აი, კითხვა, რომელზეც ბოლო 4-5 წელიწადია, გამუდმებით ვფიქრობ.

ერთი საოცარი ნაშრომი მაქვს წაკითხული, რომლის შეხედულებების უმთავრეს იდეას ნამდვილად ვიზიარებ და თუ ჯემალ ქარჩხაძის ერთი მოსაზრების ჩემეულ ინტერპრეტაციასაც გავიხსენებთ, რომ ღმერთმა ძირითადი პროგრამები შექმნა, ხოლო მათი რეალიზება შემთხვევითობათა უსასრულო ჯაჭვს გადაულოცა. სწორედ ამიტომაც არის, რომ ადამიანები გონებრივი შესაძლებლობების მიხედვით, როგორც წესი, სამ ძირითად ჯგუფად იყოფა. ყოველი სტატისტიკურად აღებული 100 კაციდან, სამოცდაათი პირველ ჯგუფს განეკუთვნება, რომელთაც, როგორც მაკიაველის იდეებით შთაგონებული და ჯემალ ქარჩხაძის მიერ სიტყვიერად დიდებულად ჩამოქნილი მეტაფორით, — მათი გონების ლამპარი ოდნავ თუ ბჟუტავს და ვერც ვერანაირი იდეით და ვერც სხვისი იდეის რეალიზებით გაგვაოცებენ.

მეორე ჯგუფში, რომელთა რაოდენობა, ქვეყნების მიხედვით 20-დან 25-მდე იცვლება, გაერთიანებული არიან ადამიანები, რომელთა გონების ლამპარი ანათებს და თუმცა იდეების სიმრავლით ვერ გაგვაკვირვებს, მაგრამ სხვისი იდეების გაგება და მისი ხორცშესხმა შეუძლიათ.

და ბოლოს, მესამე ჯგუფში ის გენიალური პიროვნებები არიან, რომელთა გონების ლამპარი გიზგიზებს და მათ იდეების გენერირება და მისი ხორცშესხმაც შეუძლიათ.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამის თქმა მკრეხელობად აღიქმება, მე ერთმნიშვნელოვნად ვიზიარებ ამ შეხედულებას. ეს ბოლო ჯგუფი, ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეა და მას ისევე უნდა გაფრთხილება, როგორც ნებისმიერი ერის უდიდეს საგანძურს!

ეს შესავალი კი იმისთვის გავაკეთე, რომ ის სინანულნარევი სიხარული გაგიზიაროთ, რომელიც მაგისტრანტებთან შუალედური გამოცდისას განვიცადე.

70-მდე მაგისტრანტს ვასწავლი და 35-მდე ბაკალავრს. ამ უკანასკნელთა შესახებ არაფერს ვიტყვი, რადგან დიდად არ ვიცნობ. არც იმ სამარცხვინო ანაზღაურებაზე ვიტყვი, რასაც ამ შრომაში ვიღებ, მაგრამ ეს არაფერია იმ სიამაყესთან შედარებით, რაც ამ გამოცდებისას განვიცადე.

70 მაგისტრანტიდან ძალიან ბევრია ნიჭიერი, მაგრამ ქართველებისთვის ამ ასაკში დამახასიათებელი სიზარმაცის გამო, სწავლაზე დიდად არ იწუხებენ თავს!

ამ დროს, შემოდის ერთი დიდებული ქართველი, რომელიც **გრიგოლ რობაქიძის** არჩიბალდ მაყაშვილის (მეკეში) მსგავსად, ქართული ჯიშისა და გენის ცოცხალი განსახიერებაა, სახელად **იასონ ონიანი,** რომელიც მხოლოდ პირველ ლექციას დაესწრო და შემდეგ თვალითაც არ მინახავს, ჯდება ჩემს წინ და ჰოი, საოცრებავ, საერთოდ არ აუწევია თავი, არ გაუხედია არსაით, ექვსივე საკითხი დაწერა და გავიდა!

რომ ვნახე ნაშრომი, სიხარულის ბურთი ყელში გამეჩხირა. ცხადია, მაქსიმალური ქულა დავუწერე. მეორე დიდებული ქართველი **ლერი შაინიძეა,** რომელიც პირველის ანტიპოდია იმ გაგებით, რომ ბოლნისიდან დადის, ლექცია არ გაუცდენია, ყურადღებით მისმენს და, რაც ყველაზე სასიხარულოა, აქტიურად არის ჩართული სოფლის მეურნეობაში, — უვლის მსხვილფეხა პირუტყვს, აქვს ვენახი (თუ რამე გამეგება, ბოლნისის ღვინო ფანტასტიკურია) და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენებასაც არ აკლებს ხელს. მანაც ისევე დაწერა შუალედურის საკითხები, რომ ერთი არ გაუხედია არსად.

სულ ბოლოს კი მეკითხება, — **ანრი ფაიოლის** (გენიალური ფრანგი მენეჯერის) მართვის პრინციპებიდან მეთოთხმეტეს ვერ ვიხსენებო, — და, — კორპორატიული სული-მეთქი! ცხადია, მასაც მაქსილალური შეფასება დავუწერე. მათ გარდა დაახლოებით ათი მაგისტრანტია, რომლებიც მართლა დიდებული შესაძლებლობების არიან, — **სიფრაშვილი, გიგაური, ქებურია, რაზმაძე, გოგია, თაბაგარი...**

თამაზ აძუბარდია

P.S. **ანუ ხვალინდელი დღე დიდებული მოდის, მაგრამ ერთი პირობით, — ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს ერის ინტელექტუალური პოტენციალი, ეს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე ქვეყანაში დარჩეს. ჩემი წიგნები სწორედ ამათთვის არის დაწერილი და ბ-ნი იასონი დამპირდა, რომ ოთხშაბათს მოვიდოდა და ჩემს წიგნებს აიღებდა და აუცილებლად წაიკითხავდა.**

ემიგრაციაში წასვლას თუ არ დაიშლი, ღირსეულად მაინც დასაქმდი!

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში, 2013-2018 წლებში ყოველწლიურად ქვეყნიდან ემიგრაციაში საშუალოდ 90 ათასზე მეტი ადამიანი მიდიოდა. ამასთან, 2017 წელს, გასულ წლებთან შედარებით, ემიგრანტთა ნაკადი შედარებით შემცირდა, ისევე, როგორც მიგრაციული სალდო (სხვაობა ემიგრანტებსა და იმიგრანტებს შორის), თუმცა ეს უკანასკნელი კვლავ უარყოფითი იყო. რამდენიმე დღის წინ მმართველი პარტიის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა აღიარა, რომ უახლოეს პერსპექტივაში საქართველოში უმუშევრობის პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას ვერ ხედავს და რომ ამ ეტაპზე უფრო მარტივად მიაჩნია, მოსახლეობის უმუშევარი ნაწილი ლეგალურად დაასაქმონ ევროპის სახელმწიფოებში.

უმუშევრობის პრობლემის დაძლევის ივანიშვილისეული ახალი ხედვა: რას ფიქრობენ ხალხი და ექსპერტები

„უკვე აქტიურად ვმუშაობთ ამაზე ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან. როგორც სახელმწიფო, ვაფორმებთ კონტრაქტებს და მივდივართ ამაზე, რომ შევავსოთ ის დეფიციტი, რაც ევროპელებს აქვთ. მათ აქვთ სამუშაო ადგილები, მაგრამ აკლიათ სამუშაო ძალა. ჩვენ არ გვაქვს სამუშაო ადგილები, ესაა ჩვენი ძირითადი პრობლემა. გაიხსენეთ პოლონეთი, ბალტიისპირეთის სამი ქვეყანა, ბულგარეთი — ეს ქვეყნები ისეთივე გაცლილია, როგორც საქართველო. ეკონომიკური სხვაობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორისაც არის. შესაბამისად, სადაც მაღალია ხელფასები, იქ გადაედინება მუშახელი. მაგრამ ცივილიზებულად ხდება ეს, ისინი არ არიან ღირსებაშელახულები. ქართველი ემიგრანტები, რომლებიც საზღვარგარეთ არალეგალურად არიან დასაქმებულნი და ამის გამო სამშობლოში დაბრუნებას ვერ ახერხებენ, შესაძლოა, ამ გზით დაბრუნდნენ და უფრო მაღალანაზღაურებად სამუშაოზე ევროპაში ლეგალურად წავიდნენ. მათი უმეტესობა არალეგალურადაა დასაქმებული. შესაბამისად, სამშობლოში დაბრუნებას ვერ ახერხებენ და არიან ღირსებაშელახულები. ჩვენ დავიწყეთ აქტიურად მუშაობა გერმანიასთან და შეიძლება, რამდენიმე ასეული ადამიანი უკვე შემდეგ გაზაფხულზე მოვახერხოთ და გავუშვათ სეზონურ სამუშაოზე. 2-3 წელიწადში, პრინციპში, ეს არის დალაგებადი, რომ ჩვენ ხელშეკრულებები გავაფორმოთ“, — განაცხადა ივანიშვილმა.

რას ფიქრობენ ამაზე თავად საქართველოს მოქალაქეები?

გიორგი, 46 წლის: „მე არა მხოლოდ მიფიქრია უცხოეთში წასვლაზე, მიცხოვრია კიდეც იქ, მიმუშავია ესპანეთში. მაგრამ რატომ დგას საკითხი ასე, რატომ უნდა მიდიოდეს საქართველოს მოქალაქე უცხოეთში? განა უკეთესი არ იქნება, ხალხმა სამშობლოში იმუშაოს და განავითაროს ქვეყანა?! მე იმიტომ დავბრუნდი, რომ უცხოეთში მეათე „სორტის“ ადამიანი ვიყავი. თუნდაც სამშობლოში უფრო მცირე ხელფასი მქონდეს, აქ მირჩევნია, უბრალოდ ნორმალური, ადამიანური ცხოვრება მაინც უნდა უზრუნველყონ.

ქეთევანი, 19 წლის: წასვლაზე არასოდეს მიფიქრია, ქართველად დავიბადე და ქართველად მოვკვდებოდი.

ელზა, 29 წლის: სამომავლოდ ვგეგმავ ქვეყნიდან წასვლას — კანადაში ან ესპანეთში. ჯერ ტურისტად წავალ, ვნახავ, რა ხდება იქ, მივიღებ ახალ გამოცდილებას: 29 წელია, აქ ვცხოვრობ და ხომ უნდა გავიფართოვო თვალსაწიერი? ვიცი, რომ ესპანეთში სამსახურის შოვნა ადვილი არ არის, განსაკუთრებით — თუ ენა არ იცი და არ იცნობ ქალაქს... მაგრამ იქ ცხოვრებას ნამდვილად ვისურვებდი.

იზოლდა, 65 წლის: არასოდეს მიფიქრია წასვლაზე და არც სამომავლოდ ვაპირებ. საქართველოშიც შეიძლება, ნორმალურად იცხოვრო. აქედან არასოდეს წავიდოდი მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემს შვილს კარგი მანქანა ჰყავდეს, ან ჩემმა ოჯახმა სასახლეში იცხოვროს.

ქეთევანი, 60 წლის: სად უნდა წავიდე, შვილო? ჩემს ქვეყანას სხვისაზე გავცვლი?!

ნიკალა, 20 წლის: საფრანგეთში ვაპირებ საცხოვრებლად წასვლას. თავად ქვეყანაა უკეთესი. სხვა ქვეყნებს არ განვიხილავ. საქართველო, სიმართლე გითხრათ, დიდად არ მიზიდავს. თუნდაც იმიტომ, რომ არატოლერანტულები ვართ. საფრანგეთი ევროპის ცენტრია და ცხადია, საქართველოზე ბევრად განვითარებული.

თორნიკე, 21 წლის: უცხოეთში არც ვყოფილვარ და აქაური გარემო არანაირ პრობლემას არ მიქმნის, შესაბამისად, წასვლაზე არ მიფიქრია და არც მომავალში ვაპირებ წასვლას.

მარი, 28 წლის: პირადად მე წასვლას არ ვაპირებ, თუმცა, სამწუხაროდ, ბევრი ჩემი ნაცნობი უკვე წასულია და ბევრიც აპირებს წასვლას.

ნიტა, 17 წლის: სამომავლოდ, დიდი ალბათობით, წავალ. ვფიქრობ, ევროპაზე ან აშშ-ზე, რადგან იქ მეტი პერსპექტივაა. ვისწავლიდი და ვიმუშავებდი იქ, შემდეგ დავბრუნდებოდი. თუმცა შესაძლოა, უბრალოდ, მეშინია, საკუთარ თავს გამოვუტყდე, რომ შეიძლება, აღარც დავბრუნდე.

ზვიადი, 26 წლის: წასვლაზე მიფიქრია, თუმცა მხოლოდ სამუშაოდ. საქართველოს სამუდამოდ ვერ დავტოვებ. თუ წავალ, მხოლოდ 3-4 წლით, წავიმუშავებ, ფულს შევაგროვებ და ჩამოვალ.

ახლა ვნახოთ ჩვენმა „ყოვლისმცოდნე“, პროვოკატორმა ექსპერტებმა როგორ გაიგეს ბიძინა ივანიშვილის ნათქვამი:

ექსპერტი გია ხუხაშვილი ამბობს, რომ **„როგორც წესი, ხელისუფლებები საპირისპირო ხასიათის დაპირებებს იძლევიან“.**

„ყველას სურს, მათი თანამოქალაქეები სამშობლოში დაბრუნდნენ და ერთად ააშენონ უკეთესი სახელმწიფო. ივანიშვილის შემთხვევაში საპირისპირო ისტორიას ვადევნებთ თვალს. ის, ფაქტობრივად, ამბობს, „ამ ქვეყნის ეკონომიკას არაფერი ეშველება და ერთადერთი, რაც შემიძლია, არის ის, რომ ბილეთები აგიღოთ და გაგიშვათ უცხოეთში სამუშაოდ, რადგან აქ სამუშაო ადგილებს ვერ შევქმნითო“... ძალიან სამწუხაროა, როდესაც ასეთ განცხადებებს ვისმენთ ადამიანისგან, რომლის იმედიც, შესაძლოა, მცირე დოზით, მაგრამ მაინც კიდევ აქვს ხალხის გარკვეულ ნაწილს. მას პოლიტიკოსისთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმის გამოსხივებაც კი ეზარება. იმავე ინტერვიუში დაპირებების შესრულებაზე საუბრისას ბრძანა, „7 წლის გამმავლობაში არ მახსენდება რაიმე სერიოზული დაპირება, რომელიც არ შესრულებულაო“, თუმცა ფაქტია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მან არც ერთი სისტემური დაპირება არ შეასრულა“, — განუცხადა „აქცენტს“ ხუხაშვილმა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ ხელმძღვანელი გიორგი კეპულაძე კი ივანიშვილის განცხადებას გაუმართლებლად მიიჩნევს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც:

„გაუმართლებელია, როდესაც პოლიტიკოსი, რომელიც რეალურად მართავს ქვეყანას, ეუბნება მოქალაქეებს, რომ საქართველოში მათი დასაქმების პერსპექტივა, ფაქტობრივად, არ არის და იმისათვის, რომ დასაქმდნენ, იგი შეეცდება, მათ უცხოეთში რაღაც ლეგალური პირობები შეუქმნას. ჩვენთან სიკვდილიანობაზე მეტი შობადობაა საბედნიეროდ, თუმცა უარყოფითი ბალანსი მაინც არის იმის გამო, რომ სოციალური პრობლემების მიზეზით ქვეყნიდან უამრავი ადამიანი გაედინება. ბოლო 15 წლის განმავლობაში მილიონზე მეტი მოქალაქეა გასული. ეს შემაშფოთებელი უნდა იყოს ყველასთვის, არა მარტო ხელისუფლებისთვის და გადაწყვეტის გზები უნდა ვეძებოთ არა იმაში, რომ ეს გადინება, პირდაპირ თუ ირიბად, კიდევ წავახალისოთ, არამედ იმაში, რომ მათ აქ, ადგილზე შევუქმნათ საკადრისი და სათანადო პირობები დასაქმებისთვის“, — განუცხადა „აქცენტს“ კეპულაძემ.

ამასთან, მისი თქმით, არ არის აუცილებელი, მთავრობამ პირდაპირი სამუშაო ადგილები შექმნას, — მთავარია, მან ბიზნესს შეუქმნას პირობები დამატებითი სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

„მე არ ვიცი, რას ემსახურებოდა ივანიშვილის ეს განცხადება, თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით, წარმოუდგენელია ასე ქვეყნის წინ წაყვანა, რადგან ვერ გვექნება მაღალი ეკონომიკური ზრდა, თუ საქართველოს მოსახლეობა წლიდან წლამდე ასე შემცირდება“, — დასძენს ექსპერტი.

გოჩა ინგოროყვა: მივესალმები საყოველთაო ჯანდაცვაში ჩართული კლინიკებისთვის რეალურ ტარიფებს!

ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი **გოჩა ინგოროყვა** საყოველთაო ჯანდაცვაში ჩართული კლინიკებისთვის რეალური ტარიფების დაწესებას მიესალმება.

„გასულ კვირას ჯანდაცვის სამინისტროში გაიმართა შეხვედრა კლინიკებთან, სადაც განხილული იყო საქართველოს მთავრობის 5 ნოემბრის №520 დადგენილება. შეხვედრა გაგრძელდა რამდენიმე საათის განმავლობაში, სადაც განხილული იყო ახალი ტარიფები და სავარაუდო ხარვეზები. შეხვედრა წარიმართა დიალოგის რეჟიმში, რაც მისასალმებელია. მივიღეთ კონკრეტული დავალება, რომ ჩვენი მხრიდან დათქმულ ვადაში წარმოდგენილი იქნება 2018-19 წლის შესყიდვებზე დეტალური ინფორმაცია და საინვოისო ხელშეკრულებები, რის შემდეგაც გაგრძელდება შეხვედრები, აღნიშნული დოკუმენტაცია სამინისტროში მიწოდებული იქნება უახლოეს დღეებში. ჩვენი შეხედულებით ასეთი დამოკიდებულება შედეგს გამოიღებს“, — აღნიშნა გოჩა ინგოროყვამ.

მისი თქმით, ფასების დადგენა და ერთიანი ტარიფიკაციის სისტემა კლინიკებს მისცემს ჯანსაღი კონკურენციის საშუალებას.

„ის კლინიკები, რომლებიც 2013 წლიდან ჩართული არიან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში, დღემდე სერვისის მიწოდებას ახორციელებდნენ ძველი ტარიფების მიხედვით და არ იყო ამის განახლების საშუალება, მაშინ როდესაც ახლად შექმნილი კლინიკები უკვე სახელმწიფოსთვის ფასის მიწოდებას ახდენდნენ მიმდინარე ხარჯთაღიცხვაზე დაყრდნობით. ეს თავისთავად კლინიკებს არათანაბარ პირობებში აყენებს. აქედან გამომდინარე, ერთიანი ტარიფიკაციის სისტემა კლინიკებს შეუქმნის თანაბარი კონკურენციის პირობებს. სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ურთიერთანამშრომლობა გამოიღებს დადებით შედეგს, სადაც გათვალისწინებული იქნება ორივე მხარის პოზიცია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნება პაციენტის ინტერესი, მიიღოს მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში“, — განაცხადა გოჩა ინგოროყვამ.

ცნობისთვის: 20 ნოემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის 5 ნოემბრის №520 დადგენილება, რომლის თანახმად, საყოველთაო ჯანდაცვაში ჩართული კლინიკებისთვის ტარიფები გათანაბრდა.

აშშ-ის სენატში საქართველოს მხარდამჭერი კიდევ ერთი განცხადება გაკეთდა

3 დეკემბერს აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში გაიმართა მოსმენა „რუსეთისადმი აშშ-ის პოლიტიკის მომავალი“, რომელზეც სენატორების წინაშე წარდგნენ პოლიტიკურ საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე დევიდ ჰეილი და საერთაშორისო უსაფრთხოებისა და გაუვრცელებლობის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე კრისტოფერ ფორდი. ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მოსმენისას შესავალ სიტყვაში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის დამგმობი განცხადება გააკეთა სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, სენატორმა ჯეიმს რიშმა (რესპუბლიკელი — აიდაჰოს შტატი).

„რა თქმა უნდა, ჩვენ ყველამ ვიცით რუსეთის მიერ წლების განმავლობაში საქართველოსა და უკრაინაში შეჭრის თაობაზე, სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეების მოწამვლის თაობაზე. რუსეთის ფედერაციის გამო დღეს მსოფლიო საშიში და ნაკლებად თავისუფალია“, — აღნიშნა სენატორმა რიშმა.

საქართველოსადმი მხარდამჭერი სიტყვით წარდგა ასევე სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თანათავმჯდომარე, სენატორი ბობ მენენდესი (დემოკრატი — ნიუ ჯერსის შტატი).

„ჩვენ ძალიან მკაფიო უნდა ვიყოთ, რომ რუსეთის მიერ 2008 წელს საქართველოში შეჭრის დღიდან მოყოლებული, კრემლის აგრესიული ქმედებების მრავალი მაგალითი, უბრალოდ დაუშვებელია და არ შეიძლება საერთაშორისო ურთიერთობების ნორმად იქცეს“, — განაცხადა მენენდესმა.

პოლიტიკურ საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის ჰეილის განმარტებით, **„რუსეთი თავის სამეზობლოში ცდილობს დომინირებას, რაც აისახა მის მიერ უკრაინისა და საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე აგრესიაში“.**

მისი სიტყვებით, აშშ-მა მნიშვნელოვანი სახის ფინანსური ვალდებულება აიღო, დაეხმაროს პარტნიორ ქვეყნებს — საქართველოსა და უკრაინას მდგრადობის გასაზრდელად. **„უკრაინის დახმარების მსგავსად, ჩვენ საქართველოსთვის საგარეო სამხედრო დახმარების ფარგლებში 2014 წლიდან მოყოლებული გამოვყავით 170 მილიონი დოლარი, მათ შორის 94 მილიონი აშშ დოლარი 2018-2019 ფისკალური წლისთვის, რათა რუსეთისგან მომდინარე აგრესიის დასაძლევად გავუმჯობესოთ საქართველოს მდგრადობა, გავაძლიეროთ ქვეყნის ტერიტორიული თავდაცვის შესაძლებლობები და მხარი დავუჭიროთ საქართველოს სამხედრო ტრანსფორმაციის ძალისხმევებსა და ნატო-სთან თავსებადობას“,** — განაცადა ჰეილმა.

საერთაშორისო უსაფრთხოებისა და გაუვრცელებლობის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ კრისტოფერ ფორდმა ხაზი გაუსვა რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ აგრესიასა და ტერიტორიების მიტაცებას, რუსეთის მიერ დამასკოს „მკვლელი რეჟიმის“ მხარდაჭერას, აშშ-ში ევროპასა და მსოფლიოს სხვა ადგილებში დემოკრატიული პროცესებისთვის რუსეთის ძირგამომთხრელ საქმიანობას.

ფორდმა ასევე ყურადღება გაამახვილა, „ღია ცის ხელშეკრულების“ ძალაში შესვლის დღიდან, რუსეთის მიერ მის შეუსრულებლობაზე. ამ მხრივ მან გამოყო რუსეთის მიერ „ღია ცის ხელშეკრულების“ დარღვევის ფაქტები, მათ შორის, რუსეთის მიერ ოკუპირებული, საქართველოს ტერიტორიების სიახლოვეს განხორციელებული „ღია ცის ხელშეკრულების“ უხეში დარღვევის ფაქტები.

აშშ-ის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრმა, სენატორმა მიტ რომნიმ (რესპუბლიკელი — იუტას შტატი) ხაზი გაუსვა რუსეთის აგრესიულ ქმედებებს, კერძოდ, რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინაში შეჭრას, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, განსაკუთრებით აშშ-ის არჩევნებში რუსეთის ჩარევის შემთხვევებს.

სენატორი კორი გარდნერის (რესპუბლიკელი — კოლორადოს შტატი) სიტყვებით, **„რუსეთის ფედერაცია ვლადიმირ პუტინის მმართველობით შეიჭრა მეზობლების საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიაზე; მხარს უჭერს ასადის სისხლიან რეჟიმს; გვმტრობს ავღანეთში; ჩართულია დასავლეთის დემოკრატიების წინააღმდეგ აქტიურ საინფორმაციო ომში, მათ შორის 2016 წელს ჩაერია აშშ-ის არჩევნებში. რუსეთი ასევე პასუხისმგებელია სხვა ქმედებებზეც, როგორიცაა 2014 წელს უკრაინის ტერიტორიაზე მალაიზიის თვითმფრინავის ჩამოგდება; 2018 წელს სოლსბერიში (გაერთიანებული სამეფო) ქიმიური შეტევის განხორციელება.**

„რუსეთი ჩვენი აშკარა მოწინააღმდეგეა, რომელიც 2016 წელს ჩაერია აშშ-ის არჩევნებში. მას კვლავაც განზრახული აქვს იგივე გააკეთოს 2020 წელს აშშ-ში და ასევე ჩაერიოს მსოფლიოს სხვა დემოკრატიული ქვეყნების არჩევნებში. მე მჯერა, რომ ვლადიმერ პუტინი ავაზაკია და რუსეთის ფედერაცია სირიის, ჩრდილოეთ კორეის, ირანისა და სუდანის მსგავსად უნდა ვცნოთ ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ“, — განაცხადა გარდნერმა.

სტუმრად დედოფალთან

ბრიტანეთის **დედოფალმა ელისაბედ II-მ ნატოს ლიდერებს ბუკინგემის სასახლეში უმასპინძლა. საზეიმო მიღებას დაესწრნენ პრინცი ჩარლზი და თავისი მეუღლე კამილა, ასევე, ნატოს გენერალური მდივანი და ალიანსის მოკავშირე ქვეყნების ლიდერები.**

სტუმრებს შორის იყო შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპიც, რომელსაც ბუკინგემის სასახლესთან საპროტესტო აქციით დახვდნენ.

პუტინი საფრთხის წინაშე დგას

რუსეთის პრეზიდენტი ნატოს გაფართოებას კვლავ საფრთხედ მიიჩნევს. ამის შესახებ ვლადიმერ პუტინმა სამხედრო ჩინოსნებთან შეხვედრაზე განაცხადა.

„საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს. ვარშავის პაქტი არ არსებობს. სამხედრო კოალიცია, რომელიც შეიქმნა ნატოს საპირწინედ, არ არსებობს, თუმცა ნატო მაინც არსებობს და ვითარდება. ნატოს გაფართოება და მისი სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგება რუსეთის საზღვრების სიახლოვეს, არის ერთ-ერთი პოტენციური საფრთხე ჩვენი ქვეყნისთვის,“ — აღნიშნა პუტინმა.

უკრაინელი ოლიგარქი დააკავეს



გერმანიაში, ქალაქ ახენში, პოლიციამ უკრაინელი ბიზნესმენი და რადას ყოფილი დეპუტატი ალექსანდრე ონიშენკო დააკავა. გერმანიის სასამართლო უკრაინაში მისი ექსტრადიციის გადაწყვეტილებას მიიღებს. ახენის პოლიციის ინფორმაციით, ონიშენკო უკრაინის ნაციონალური ანტიკორუფციული ბიუროს თხოვნის საფუძველზე დააკავეს.

უკრაინაში ონიშენკო ბუნებრივი აირის გაყიდვის თაღლითური სქემის შექმნაშია ეჭვმიტანილი. უმაღლესმა რადამ მისი პასუხისმგებლობის საკითხი ჯერ კიდევ 2016 წელს დააყენა. თუმცა მან ქვეყნის დატოვება მოასწრო. 2016 წელს ონიშენკო ძებნილად გამოცხადდა. 2019 წელს ალექსანდრე ონიშენკოს საქმეზე უკრაინაში გამოძიება დასრულდა. მიმდინარე წლის 18 თებერვალს პროკურატურამ სასამართლოს საბრალდებო დასკვნა გადასცა. ამ დროისათვის უკრაინაში ონიშენკოს ექსტრადიციის თარიღი ცნობილი არ არის.

ახალგორელებისთვის ჯერ არაფერი შეცვლილა!

ახალგორში ახალგაზრდა კაცი ცხინვალიდან ჩამოვარდა და თავის არეში ტრავმები მიიღო, თუმცა მისთვის სამედიცინო დახმარების გასაწევად თბილისისკენ გზა არ გახსნილა და სასწრაფო დახმარების მანქანა ცხინვალიდან გამოიძახეს. არადა, დე ფაქტო ხელისუფლებამ 2 დეკემბერს განაცხადა, რომ ე.წ. საზღვარზე გადასვლის აკრძალვას ხსნიდა ახალგორის რაიონის იმ მცხოვრებთათვის, რომლებსაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სჭირდებათ. 3 დეკემბერს რადიო თავისუფლებასთან საუბარში ახალგორელი სამოქალაქო აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი აცხადებს, რომ დაბაში ჯერ არაფერი შეცვლილა.

თამარ მეარაყიშვილის აზრით, ახლა სიების შედგენა დაიწყება და ეს პროცესს კიდევ გააჭიანურებს.

დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებას ახალგორის ე.წ. გამშვები პუნქტი ნაწილობრივ გაიხსნას, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი გამოეხმაურა. ციხელაშვილის თქმით, მნიშვნელოვანია ის, რომ მთლიანად უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილების უფლება. მისი აზრით, გადასასვლელის ნაწილობრივი გახსნა პრობლემას სრულად ვერ აგვარებს.

გადაადგილებაშეზღუდულები რჩებიან სტუდენტები, რომლებიც დაბაში არიან დარჩენილი, ასევე ქრონიკული ავადმყოფები, ვისაც თბილისის კლინიკებში გეგმურ შემოწმებაზე სიარული უწევდათ, და ადამიანები, ვინც პროდუქტების ბიზნესით იყო დაკავებული. ახალგორსა და წეროვანში მცხოვრებ მოქალაქეებს შორის გაწყვეტილია ნათესაური კავშირები.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებამ ახალგორის რაიონთან ე.წ. საზღვარი 4 სექტემბერს დაკეტა. ეს იყო ერთ-ერთი პასუხი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანასთან ქართული პოლიციის საგუშაგოს გახსნაზე. ოქტომბრის ბოლოს საოკუპაციო ძალებმა ე.წ. საზღვარზე არ გაატარეს ახალგორის რაიონის მცხოვრები მარგო მარტიაშვილი, რომელსაც, სავარაუდოდ, ინსულტის გამო სჭირდებოდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და ოჯახს პაციენტის გადაყვანა სურდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე. მარგო მარტიაშვილი 28 ოქტომბერს გარდაიცვალა.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ახალგორის რაიონის მცხოვრებმა თამარ გიგაურმა ჭაში ჩავარდნის შედეგად მძიმე ტრავმები მიიღო და, ოჯახის თხოვნის მიუხედავად, ე.წ. საზღვარზე არც გიგაური გაატარეს.

ახალგორის რაიონთან ე.წ. საზღვრის დაკეტვის გამო ადგილობრივ მცხოვრებთ, მესამე თვეა, შეზღუდული აქვთ წვდომა საქართველოს მოქალაქის პენსიასა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მდებარე სასწავლებლებში განათლების მიღებაზე.

ახალგორში შექმნილი ვითარების შესახებ იმსჯელებენ ჟენევის დისკუსიის მორიგ რაუნდზე, რომელიც 10-11 დეკემბერს გაიმართება.

გოგა აფციაური

წყლულის „პროვოკატორები“

კუჭ-ნაწლავის სისტემის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება კუჭის წყლულია.

ბოლო დრომდე მიჩნეული იყო, რომ წყლულის წარმოშობის მთავარი მიზეზებია არასწორი კვება და მავნე ჩვევები. ახლა კი დადგინდა, რომ მის წარმოსაქმნელად ასევე დამატებითი ფაქტორებიცაა საჭირო: ახალგაზრდულ ასაკში სნეულების პროვოკატორად **სტრესი** გვევლინება, რომლის ზემოქმედებით წყლული სულ რამდენიმე საათში შეიძლება წარმოიშვას. ხანდაზმულ ასაკში კი კუჭის წყლული ხშირად **მედიკამენტოზური** მიზეზით ჩნდება. თუმცა კი მთავარი მიზეზი მაინც დედამიწაზე ყველაზე გავრცელებული ბაქტერია **ჰელიკობაქტერ პილორია,** რომელსაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია კუჭის №1 მტრად ასახელებს. ის ადამიანთა 70-80 პროცენტის კუჭში ცხოვრობს, თუმცა კი ყველა მათგანი როდი ავადმყოფობს: ბაქტერია სხვა უარყოფით ფაქტორთა – იმუნიტეტის დაქვეითების, სტრესებისა და მავნე საკვების ზემოქმედების შედეგად აქტიურდება.

ბევრს ჰგონია, რომ წყლულს მუდამ მძაფრი ტკივილები ახლავს, არადა, ეს ასე არ არის. საკმაოდ ხშირად, განსაკუთრებით ხანდაზმულ ასაკში, წყლული უსიმპტომებოდ მიმდინარეობს, ზომიერი ტკივილები კი ხანდახან წარმოიშვება. ამიტომ უმრავლესობა დიაგნოზს მხოლოდ სახიფათო „კუჭის გასკდომის“ შემდეგღა იგებენ, რის ოპერაციის მერე ხანგრძლივი რეაბილიტაცია და მთელი სიცოცხლე დიეტის დაცვა უნდა.

ამიტომაც საჭიროა ჰელიკობაქტერიის თავიდან მოშორება, **სტრესებისადმი ფილოსოფიური სიმშვიდით მიდგომა, საჭმელში კი ზომიერებისა და სიფრთხილის დაცვა.**

იმის გამო, რომ კუჭის კიბო ონკოლოგიურ დაავადებათა ერთ-ერთი აგრესიული და გავრცელებული სახეობაა, მკურნალობა კი საუკეთესო შედეგს ადრეულ სტადიებზე იძლევა, ამიტომ **წელიწადში ერთხელ საჭირო გასტროენტეროლოგთან ვიზიტი და გასტროკოპიის გავლა.** ისიც გასათვალისწინებელია, რომ კუჭის წყლული უფრო ხშირად მამაკაცებს უჩნდებათ. გახსოვდეთ, რომ კუჭის წყლულის მქონე პაციენტები, როგორც წესი, ფიცხი, წყენია, განგაშიანი და ადვილად გამღიზიანებადი ადამიანები არიან. გაუთავებელ თვითგვემას კი მარილმჟავის სეკრეცია მოსდევს, რომელიც ჯერ ლორწოვან გარსს აზიანებს, შემდეგ კი კუჭის წყლულის წარმოშობას უწყობს ხელს.



ნეტავ, ოდესმე თუ გავახალგაზრდავდებით?!

ცოტა ხნის წინათ ბერლინში გამართულ გერიატრთა და გერონტოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე მეტად საგულისხმო იყო ალბერტ აინშტაინის კოლეჯის (ნიუ-იორკი) ფარმაკოლოგიისა და ფიზიოლოგიის პროფესორის დონშენგ კაის მოხსენება, რომელიც თავის ტვინის მუშაობას შეისწავლის.

– ჩვენი კვლევების შედეგად გამოტანილი მთავარი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ **ორგანიზმის დაბერება – ესაა სისტემური პროცესი.** როგორც ჩანს, არის ორგანო, რომელიც დაბერების პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს – ქალა-ტვინის ამ მონაკვეთს ჰიპოტალამუსი ეწოდება, – აღნიშნა მეცნიერმა. – ჰიპოტალამუსი ორგანიზმში მიმდინარე ყველა უმნიშვნელოვანეს პროცესს არეგულირებს. გარდა ამისა, არის მოსაზრება, რომ თავის ტვინის ეს პატარა უბანი რთავს ორგანიზმის განვითარების სხვადასხვა ფაზას, მათ შორის, ზრდას, სქესობრივ მოწიფებას და, შესაძლოა, დაბერებასაც.

ბუნებრივია, პირველ ყოვლისა, მკვლევარებს აინტერესებთ, თუ რა განსხვავებაა ახალგაზრდა და ბებერი თავის ტვინის ჰიპოტალამუსებში? საქმე ისაა, რომ ასაკის მატებასთან ერთად ჰიპოტალამუსში (ისევე, როგორც ბევრ სხვა ორგანოში) განსაკუთრებული სახეობის ანთება ვითარდება, რომელსაც **ინფლამეიჯინგი** ეწოდება. ვთქვათ, ხელზე ჭრილობის მიღების შედეგად წარმოშობილი ანთებისგან განსხვავდება, რომელსაც, პირობითად, „სასარგებლო“ შეიძლება ვუწოდოთ, სხვა ინფლამეიჯინგი – ესაა ქრონიკული, „ჩუმი“, ყოველგვარი გარეგნული გამოვლინებების გარეშე მოლეკულურ დონეზე მიმდინარე ანთება. როცა მეცნიერები ჰიპოტალამუსის დაბერებისა და მდგომარეობის შესწავლას ჩაუღრმავდნენ, აღმოჩნდა, რომ **მოლეკულურ „ასაკობრივ“ დაბერებას განსაკუთრებული ღეროსებრი უჯრედების რაოდენობის შემცირება მოჰყვება, რომლებიც თავის ტვინის დაზიანებული უჯრედების აღსადგენადაა საჭირო.**

მაშასადამე, გამოდის, რომ თავის ტვინის უჯრედების დიდი ნაწილის აღდგენა ხდება. მის გარკვეულ მცირე უბნებში შემორჩენილი ღეროსებრი უჯრედები, საჭიროების შემთხვევაში, დაღუპული უჯრედების ადგილს იკავებენ, თუმცა, წლების მანძილზე მათი ოდენობა მცირდება.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ **დღესდღეობით ლაპარაკია დაბერების პროცესის შენელებაზე.** ეს კი, თავის მხრივ, გარკვეული დამცველი ბარიერია მძიმე ასაკობრივი სნეულებებისგან და ჯანსაღი სიცოცხლის დროს ახანგრძლივებს.

თუ ბავშვს ჭამა არ უნდა...

ბავშვების უმეტესობა იმდენად ცუდად ჭამს, რომ ეს მშობლებისთვის ნამდვილ პრობლემადაა ქცეული. ასეთ მდგომარეობაში მყოფი უფროსები კი ერთობ „მარადიული“ დილემის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე – დააძალონ თუ არა ჭამა თავიანთ პატარას?

კვების სპეციალისტები კატეგორიულად აცხადებენ, რომ **ბავშვისთვის ჭამის დაძალება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება!** მას შემდეგ, რაც პატარა კოვზის გამოყენებას მიეჩვევა, მის მიერ მიღებული საკვების დოზა მშობლებმა აღარ უნდა აკონტროლონ. მით უმეტეს, არ შეიძლება 3 წლის ბავშვს აჭამოთ მულტფილმების ცქერის ანდა ზღაპრების მოყოლის თანხლებით. ამ დროს ირღვევა კავშირი თავის ტვინსა და სხეულს შორის, რაც იმითაა ცუდი, რომ ბავშვი ვეღარ არკვევს უკვე დანაყრდა თუ კიდევ შია და შესაძლოა, მომავალში საჭმლის ჭარბად მიღებას მიეჩვიოს.

მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ ბავშვს შეიძლება მადა ყოველდღე ეცვლებოდეს დახარჯული ენერგიის ოდენობისდა მიხედვით. თუკი ბავშვს ჭამა არ უნდა – ნუ შეჭამს! დანაკლისს შემდეგ ჭამაზე აუცილებლად აინაზღაურებს, ოღონდ გახსოვდეთ, რომ ორ კვებას შორის არანაირი „წახემსება“ არ უნდა იყოს!

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის რაციონში შაქრისა და სწრაფი ნახშირწყლების ოდენობის შეზღუდვას. ის, რომ ბავშვს ნამცხვარი, მურაბა, ტკბილეული და ა.შ. სარგებელს არ მოუტანს, თითქმის ყველა მშობელმა იცის. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ **პატარა ხილის წვენების მიღებას უნდა მოარიდოთ,** რადგან მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტებმა დიდი ხანია, ისინი მავნე გაზიან სასმელებს გაუთანაბრეს!

გულდამშვიდების ტერიტორია

კომფორტის ზონა გაშლილი ხელის მანძილის ტოლია.

აღმოჩნდა, რომ თავის ტვინი ამ ტერიტორიას საკუთარი „მე“-ს გაგრძელებად მიიჩნევს. როცა ამ სივრცეში სხვა პირი იჭრება, ადამიანს აგრესიის გრძნობა წარმოეშვება.

უნდა აღინიშნოს, რომ ფეხმძიმე ქალებში ეს ზონა თითქმის ორჯერ მეტია, რის გამოც ქალბატონები ინტუიციურად თავს არიდებენ პოტენციურ საფრთხეს.

ბასტურმა უნაგირის ქვეშ...

საკვები ლაშქრობისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, ამიტომ მის გადაჭრას ყველა იმპერიაში დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

მაგალითად, ჩინგის ყაენის დროინდელი მომთაბარე მონღოლებს, ლაშქრობაში გამოყვანილი ხორცი (ბასტურმა ან სუჯუკი) მიჰქონდათ: საქონლის ან ცხენის ხორცს ამარილებდნენ და მზეზე აშრობდნენ, შემდეგ კი უნაგირის ქვეშ დებდნენ. ხორცი დამატებით ცხენის ოფლით მარილდებოდა, უნაგირის ზეწოლით კი წყალი გასდიოდა.

მომთაბარეთა კიდევ ერთი დელიკატესი კურთი იყო: ესაა დამარილებული და გამომშრალი ხაჭოსმაგვარი რამ, რომელსაც აქლემის, ცხვრის ან ძროხის რძიდან ამზადებდნენ და ბურთულებად ინახავდნენ. კურთი მშვენიერი ნოყიერი საკვები იყო.

გარდა ამისა, ლაშქრობებში მონღოლებს ნახევარფაბრიკატებიც მიჰქონდათ, რაღაც ბულიონის კუბების მსგავსი. ისინი ცხვრის ხორცს ხარშავდნენ, მერე მას მზეზე აშრობდნენ, შემდეგ კი ძვლებთან ერთად ფქვავდნენ. ბანაკად დამდგრები ფხვნილს ადუღებულ წყალში ყრიდნენ და ნოყიერ წვნიანსაც მიირთმევდნენ.

მე მოველ ამქვეყნად!..

მშობიარობა – ნაყოფის ცხოვრებაში პირველი უმკვეთრესი ცვლილებაა, რაზეც ის მისთვის ერთადერთი ხელმისაწვდომი ხერხით – ტირილით რეაგირებს.

თავდაპირველად ის ძალით გამოჰყავთ მიხვეულ-მოხვეული სამშობიარო გზებით, მერე იგი აღმოჩნდება უცხო, დედის ორგანიზმზე გაცილებით უფრო ცივ გარემოში. ამასთანავე, ჩვილი უცბად აუარება ახალ მხედველობით, შეხებით, სმენით, ყნოსვით შეგრძნებას განიცდის. ასევე ის საკუთარ წონას გრძნობს და სუნთქვაც დამოუკიდებლად უნდა დაიწყოს.

ყველაფერი ეს კი ბავშვში შიშის გრძნობასა და სტრესს იწვევს, ამიტომაც ქვეყნიერებას თავის მოვლენას ტირილით ამცნობს...

◎ ლეგიონერი

გიოს ლიგა

ესპანური „იბეროსტარ ტენერიფე“ ჩემპიონთა ლიგაში დიდებულ ასპარეზობას განაგრძობს და C ჯგუფში მიჯრით უკვე მეშვიდე მატჩი მოიგო. გიორგი შერმადინის გუნდმა საკუთარ კედლებში გერმანული „ბამბერგი“ მიიღო და გამარჯვება არ გასჭირვებია – 82:64.

კუნძულელთა თავკაცმა ლიდერთა დასვენება გადაწყვიტა იქაური ჩემპიონატის მორიგი ტურის წინ და ჩვენი თანამემამულე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა, 24 წუთი მაინც ითამაშა. ქართველმა 19 ქულა, 5 მოხსნა და 1 ჩაჭრა შესძინა საკუთარ პარტნიორებს. „ჯვაროსანმა“ 12-დან 8 ორქულიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, რის შედეგადაც მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 17-ს გაუტოლდა.

სარგებლიანობით გიოს ორივე გუნდის რიგებში მხოლოდ თანაკლუბელმა მარსელინიო უერტასმა აჯობა (18), რომელმაც 6 ქულა და 13 შედეგიანი გადაცემა მიითვალა, 19 ქულით კი შერმადინი მასპინძელთა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო, მაგრამ მთლიანად მატჩში გერმანელთა სნაიპერ კრისტიან შენგფელდერს (20 ქულა) ჩამორჩა.

„იბეროსტარ ტენერიფეს“ ჯგუფში შვიდივე მატჩი მოგებული აქვს და, ცხადია, ლიდერია, მომდევნო ტურში კი 10 დეკემბერს რუსეთში „ნიჟნი ნოვგოროდს“ დაუპირისპირდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ თაობა

მეტოქეთა თაიგული

გუშინ უეფას შტაბ-ბინაში ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების შესარჩევი ეტაპისა და ელიტ-რაუნდის წილისყრა გაიმართა.

მოგეხსენებათ, 2020 წლის კონტინენტური ფორუმების ელიტ-რაუნდში ჩვენი ორივე ნაკრები (17-წლამდელები და 19-წლამდელები) გავიდა.

წილისყრის შედეგად, გიორგი ჩიტაურის 17-წლამდელები ელიტ-რაუნდში მე-6 ჯგუფში მოხვდნენ: ინგლისი, ბელგია, რუმინეთი, საქართველო. გაისად 25, 28 და 31 მარტს ელიტ-რაუნდს ბელგია უმასპინძლებს.

რაც შეეხება რამაზ სვანაძის გაწვრთნილ 19-წლამდელებს, მე-3 ჯგუფი ასე შეიკრა: საქართველო, შოტლანდია, საფრანგეთი რუსეთი. მომავალი წლის 25, 28 და 31 მარტს ელიტ-რაუნდს საფრანგეთი მიიღებს.

2021 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მატჩები გაისად შემოდგომაზე ჩატარდება და ზურაბ ხიზანიშვილის მომზადებული 17-წლამდელთა ნაკრების მეტოქეები ბელგია, უკრაინა და ლიეტუვა იქნებიან. ჯგუფს თბილისი უმასპინძლებს, გიორგი მიქაძის შეგირდი 19-წლამდელები კი ხორვატეთში გაემგზავრებიან და მასპინძელთა გარდა ლატვიასა და ყაზახეთს შეხვდებიან.

გიორგი შოთაძე

◎ რეცეპტი

ირანელი მონღოლი

გამოჩენილი ირანელი ძიუდოისტი, მსოფლიოს ჩემპიონი საეიდ მოლაეი მონღოლეთის მოქალაქე გახდა და ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მისი სახელით იასპარეზებს.

მას ახალი სამშობლოს პასპორტი უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტმა და იმავდროულად მონღოლეთის ძიუდოს ასოციაციის ხელმძღვანელმა ხალტმაააგინ ბატულგამ გადასცა.

მოლაეის ირანის ხელისუფლებისგან წლეულს ტოკიოში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალური ორთაბრძოლის დათმობა ებრძანა, რათა ფინალში ისრაელის წარმომადგენელ საგი მუკისთან შესაძლო შეხვედრა არ შემდგარიყო. ისლამური სახელმწიფოს თავკაცთა მოთხოვნის და მისი ოჯახის მიმართ მუქარის მიუხედავად, ტატამის დიდოსტატმა ორთაბრძოლა ჩაატარა, თუმცა, სტრესის გამო დამარცხდა. მოგვიანებით მანვე წააგო მესამე ადგილისთვის შეხვედრაც – ამჯერად ქართველ ლუკა მაისურაძესთან. ირანელი ძიუდოისტი იაპონიიდან უმალ გერმანიაში გაემგზავრა, სადაც პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა.

მონღოლეთის პასპორტის მქონე 27 წლის მოლაეის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე საბოლოო გადაწყვეტილება დამოკიდებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელ საბჭოზე.

აღსანიშნავია, რომ ირანის მთავრობა თანამემამულე სპორტსმენებს, განურჩევლად სახეობისა, ისრაელის წარმომადგენლებთან შეხვედრებს უკრძალავს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კრიმინალი

5 წლით - ციხეში

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ავსტრიელი პეტერ ზაიზენბახერი წარსულში არასრულწლოვანი გოგონებისადმი გარყვნილი ქმედებებისთვის გაასამართლეს და მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ვენის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე 59 წლის ლეგენდას განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვს.

ძიუდოში მსოფლიოსა და 1984-1988 წლების ოლიმპიურ ჩემპიონს ორ არასრულწლოვან გოგონასთან სექსუალური ხასიათის ქმედებაში ბრალი 2016 წლის მიწურულს წაუყენეს. საქმე 1990-იანი წლების ბოლო და 2000-იანი წლების საწყის პერიოდებს ეხება.

ამის შემდეგ პეტერ ზაიზენბახერი მართლმსაჯულებას წლების განმავლობაში ქვეყნის საზღვრებს გარეთ ემალებოდა, საბოლოოდ კი ძებნილის კიევში დაკავება და მისი სამშობლოში ექსტრადირება წლეულს სექტემბერში განხორციელდა.

ვენის სასამართლომ პეტერი დამნაშავედ ბრალდების ყველა პუნქტში ცნო

ზაიზენბახერი პირველი ძიუდოისტია ისტორიაში, ვინც ზედიზედ ორ ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვა. ავსტრიელი 2010-2012 წლებში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელად მუშაობდა და გუნდი 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზეც გაიყვანა, სადაც ოქროს მედალი ლაშა შავდათუაშვილმა მოიპოვა.

კობა კობახიძე

◎ ოლიმპიზმი

ლოზანაში განიხილეს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) აღმასრულებელმა საბჭომ ლოზანაში ოლიმპიური მოძრაობისთვის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილა, მათ შორის – მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელთა მზადება.

მოისმინეს საერთაშორისო სპორტული ფედერაციების და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მოხსენებები, ასევე იმსჯელეს ანტისადოპინგო მუშაობის საკითხებზე, რუსულ სპორტში შექმნილ დოპინგ-კრიზისზე, ოლიმპიური თამაშების მომავალ პროგრამაზე, მათ შორის – ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მარათონის და სპორტული სიარულის საპოროში გადატანაზე. გარდა ამისა, კრივის საერთაშორისო ასოციაციისთვის (AIBA) უფლებამოსილების აღდგენის პროცესსაც შეეხნენ.

ბეჟან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

შეხვედრა პარიზში

მოდელ სინდი ბრუნას სახელი ფეშენ ამბებში კარგად ჩახედულმა ადამიანებმა უკვე წლებია უწყიან. ასეთი წარმატებული ფრანგი ქალი ბოლო ათწლეულში ცოტა თუ ყოფილა და სულაც არაა გასაკვირი, რომ პარიზის მოდების ჩვენებები ამ გოგოს გარეშე წარმოუდგენელია.

იგი დედაქალაქის სარეკლამო სააგენტოებთანაც თანამშრომლობს და ავეჯის ერთ-ერთი მწარმოებელი კომპანიის სატელევიზიო გადაღების დროს მასთან პარტნიორად მიყვანილ ოყლაყში არც მეტი, არც ნაკლები, ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი ანტუან გრიზმანი შეიცნო, რამაც სინდიც გაახარა და სპორტსმენიც.

უცნაურია, მაგრამ ამ დიად შეხვედრას ჭორთა მდინარება არ მოჰყოლია, რადგან სინდიცა და ანტუანიც ცოლ-ქმრობის უღლით არიან შებორკილნი. გარდა ამისა, გრიზმანს შეიძლება ყველაფერი დასწამო, მაგრამ მექალთანეობა მისგან ისევე შორსაა, როგორც ვლადიმერ პუტინისგან სულიერი კათარზისი.

როსტომ რაჭველიშვილი

ხსოვნა

ჭეშმარიტი მამულიშვილი ჯემალ ბედუკაძე – 80

ქვეყნისა და საზოგადოებისთვის ღირსეული და საჭირო ადამიანი იყო — ეს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა და ბედნიერებაა. ასეთი რჩეული პიროვნებები ბუნებისგან ჭეშმარიტად დაჯილდოებულნი არიან უზადო ნიჭიერებით, მჭევრმეტყველებით, სათნოებით, ღირსებით, ქველმოქმედებით, ბრწყინვალებით და ერისკაცობით. დიახ, ასეთი ღვთისნიერი, კაცობისა და მეგობრობის ეტალონი გახლდათ აღიარებული სახელმწიფო და საზოგადო, სამეურნეო და პარტიული მუშაკი, მეგობრობის ბაირახტარი, ეროვნული ტრადიციების ერთგული გუშაგი და ქართული ტრადიციული დიდი ოჯახის ღირსეული შვილი და თავკაცი, ფიზიკურად და სულიერად სრულქმნილი და ღვთივკურთხეული პიროვნება, საქართველოში საინვესტიციო სკოლის პირველი მეცნიერებათა დოქტორი და ამ დარგის ერთ-ერთი მესაძირკვლე, ჭეშმარიტად ვალმოხდილი მამულიშვილი, ბატონი **ჯემალ დავითის ძე ბედუკაძე**.

იგი ამქვეყნად თავდადებული შრომისთვის, ერისა და სამშობლოს უანგარო სამსახურისთვის იყო მოვლენილი. ამაზე მეტყველებს მის მიერ სახელოვნად და საამაყოდ განვლილი ლამაზი ცხოვრების გზა. ჯემალ ბედუკაძე 1939 წლის 5 დეკემბერს დაიბადა თვალწარმტაც და ისტორიულ საგურამოს დალოცვილ მიწაზე. აქ გაიზარდა და პირველდაწყებითი განათლებაც აქვე მიიღო. მდინარე არაგვის ხეობა ის ნავსაყუდელია, სადაც ჯემალ ბედუკაძის დიდი კაცობის ღუზა დევს.

1962 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი „ფინანსებისა და კრედიტის“ სპეციალობით. სიბრძნის მაწოვებელ დედა უნივერსიტეტის მერხიდან დაწყებული, ცხოვრების დიდ გზაზე მისი დიდი მასწავლებლები იყვნენ: ნიკოლოზ ქოიავა, ვასილ ჩანტლაძე, არჩილ ფანცხავა, ვლადიმერ ლებანიძე, ვალერიან მელქაძე, შოთა ბერაძე, გიორგი ადეიშვილი, ბიძინა ლუტიძე, მირიან ჩიქობავა, ვასილ ფოცხვერია და სხვები. ამიტომაც მას თამამად და სიამაყით შეეძლო გაემეორებინა ალექსანდრე მაკედონელის სიტყვები: „მე ჩემმა მშობლებმა სიცოცხლე მაჩუქეს, მასწავლებლებმა კი ცხოვრების ღირსი გამხადეს“.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, პროფესორ ქოიავას ინიციატივით ჯემალ ბედუკაძე დატოვეს თბილისში პროფესორად მოსამზადებლად... მან პროფესიული წრთობა გაიარა სსრკ მშენებლობისა და საქართველოს ბანკში, სახალხო მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მსუბუქი მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში. დისერტაციის დაცვის შემდეგ ჯემალ ბედუკაძე ინიშნება ჯერ ხაშურის, ხოლო შემდეგ თეთრიწყაროს რაიკომის პირველ მდივნად. ამ თანამდებობებზე მუშაობის დროს იგი იყო არაჩვეულებრივად ენერგიული და შრომისმოყვარე, მრავალმხრივ ერუდირებული ღირსეული მოქალაქე და ლიდერი, რომელიც ახალ მოთხოვნათა დონეზე მტკიცე პროგრესის გზით გეგმავდა, ქმნიდა, აშენებდა და ყოველივე ამას ისეთი მასშტაბით აკეთებდა, რაც მიანიშნებდა ამ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს. ამიტომაც მან ხალხის დიდი სიყვარული და სპეტაკი სახელმწიფო მოღვაწის სახელი დაიმსახურა. მისი ბიოგრაფია ძველი ქვეყნების ისტორიას ჰგავს... იგი მრავალმხრივ ბედნიერი კაცი იყო და ყველაზე უფრო იმიტომ, რომ მას პირად სიმდიდრეზე არ უფიქრია. ცხოვრობდა ისე, როგორც თავისი ხალხი. ჯემალ ბედუკაძე არა უბრალოდ საგურამოელი, არამედ მისი სახე და სიამაყე იყო თავის დიდ ოჯახთან ერთად. საგულისხმოა, რომ ჯემალ ბედუკაძეს ერთ-ერთ სახალხო ზეიმზე „გარისობაზე“ ჩვენმა სასიქადულო მწერალმა ლევან სანიკიძემ ქვეყნის მანათობელი მოყმე უწოდა... იგი გამოირჩეოდა არა მარტო შესანიშნავი პროფესიული და ორგანიზატორული ნიჭით, არამედ ასევე პიროვნული თვისებებით, რომელთაც ყველაზე მეტად აფასებდა ადამიანში. პატრიოტიზმი, ოჯახიშვილობა, უბრალოება, თავმდაბლობა და დიდი საქმეების უხმაუროდ კეთება — მის დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენდა. ბატონი ჯემალ ბედუკაძე იყო კაი ყმა, მგზნებარე უნივერსიტეტელი, რომელსაც ბრწყინვალედ ესმოდა „ხმა ღვთისა და ერისა“. და ყველაფერი ეს შემთხვევითი არ იყო, მას წილად ერგო ბედნიერება, უნივერსიტეტში ესწავლა მაშინ, როდესაც უნივერსიტეტის ისტორიულ და უნიკალურ ბაღში, ეგრეთ წოდებულ „მწვანე აუდიტორიაში“ საქართველოს მომავალი პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თავკაცობით საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა ყალიბდებოდა და ფეხს იდგამდა. იგი ბევრჯერ ყოფილა ამ ეროვნული და ცეცხლოვანი სერობის უშუალო მონაწილე... მისი ცხოვრების დევიზი იყო „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ ამ სიყვარულისთვის სიცოცხლე მართლა ღირდა... ტკივილიანი ერთი წელიც მიიწურა, რაც ჯემალ ბედუკაძე მხოლოდ ფიზიკურად წავიდა ჩვენგან, სულიერად კი მუდამ ჩვენთან იქნება...

სამარადისო ხსოვნა და დიდება მის ნათელ სახელსა და სულს, ამინ!

გულთაზ ლაბარტყავა

რედაქცია
„საქართველოს რესპუბლიკაში“
ჩიქობავას ქ. №42/5. 599 79-76-79; 568 82-09-84

სანთელი

პალიკო კინტრაია

უცებ გაირბინა 40 დღემ...

ბატონი **პალიკოს** კაბინეტში სანთელი არ ჩამქრალა და ყვავილები არ დამჭკნარა.

წუთისოფლის სტუმრები ვართ, ამქვეყნიური ცხოვრება წარმავალია, მაგრამ მთავარია, დატოვო წარუშლელი კვალი ამ ქვეყნად და ბატონი პალიკოც ამის მაგალითია. ის რჩეული იყო რჩეულთა შორის, საოცარი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, რომელიც უანგაროდ უზიარებდა თავის ცოდნას და გამოცდილებას ახალგაზრდა თაობას. თავად თავისი მასწავლებლის, ბატონი კოტე ჩაჩავას ხსოვნას უდიდეს პატივს სცემდა, თვითონაც ასეთი მოსწავლეები დატოვა.

ძნელია ბატონ პალიკოზე წარსულ დროში საუბარი... ის ხომ ყველაფერში მისაბაძი, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი, დიდი ერუდიციის, განათლებული, დიდსულოვანი, დახვეწილი გემოვნების ადამიანი, სამაგალითო მეუღლე, მამა და ბაბუა იყო.

მოგვაკლდა მისი წყნარი, ბრძნული რჩევა-დარიგებები, გვერდში დგომა, სითბო და სიყვარული, რომელსაც ყველა ჩვენგანი ვგრძნობდით.

დიდი მეცნიერის, სასიქადულო მამულიშვილის, საყვარელი პედაგოგის და უფროსი მეგობრის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

უფალმა ნათელი დაუმკვიდროს მარადიულ სასუფეველში. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

სს ჩაჩავას კლინიკის კოლექტივი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის 1969 წლის გამოშვების კურსდამთავრებულები: ბადრი ბარკალაია, გია ციხისთავი, გურამ ჩიქოვანი, მიშა წიკლაური, ომარ კერესელიძე, ნუნუ შუკაკიძე, ემა ოგანოვი, სვეტა გაბუნია, გივი ხელაშვილი, ცისანა ჩაკვეტაძე, ჟუჟუნა ნაცვლიშვილი, თინა ჯანიაშვილი, დალი ვანციანი, მაცაცო ლეჟავა, იოსებ არაბული, ნათელა კაპანაძე, მიშა კახაძე, ზაირა ოთარაშვილი, ომარ აბულაძე, ლალი მაისაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი თანაკურსელი

რომან ალექსანდრეს ძე კუჭუხიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ზაზა ასათიანი და რუსუდან ბერიძე შვილებით თიკოთი და მარიკოთი, გოჩა ასათიანი და ნარგიზა ჯაში ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მანანა ასათიანი

პანაშვიდი: 5,6 XII; დაკრძალვა: 7 XII, 14 სთ.
მისამართი: ნუცუბიძის V პლატო, I კორპუსი, III სადარბაზო.

ოთარ ტურაბელიძე, გიორგი ლაშხი, დათო გრიგორაშვილი, ზურაბ წულუკიძე, თამაზ ყურაშვილი, გია იაკობაშვილი, თენგიზ სულაძე, დათო ჭანტურიშვილი სამძიმარს უცხადებენ უახლოეს მეგობარს ზაზა ასათიანს დის, გამორჩეული ქალბატონის

მანანა ასათიანის

გარდაცვალების გამო.

გვადალახარაში „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურენოვანი გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა

მექსიკაში, ხალისკოს შტატის დედაქალაქში, გვადალახარის წიგნის საერთაშორისო გამოფენა (FIL 2019) ოფიციალურად გაიხსნა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოფენის ფარგლებში, გვადალახარის უნივერსიტეტის პავილიონის საპატიო სტუმარი საქართველო იყო.

მექსიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ზურაბ ერისთავმა, უნივერსიტეტის რექტორატის წარმომადგენლებთან ერთად, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურენოვანი გამოცემისა და ახალი, ერთობლივი გამოცემის პროექტის პრეზენტაცია გამართეს.

„პრეზენტაციამ საერთაშორისო გამოფენის სტუმრების ყურადღება დაიმსახურა. საქართველოს ელჩმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო საელჩოს, მალაგის უნივერსიტეტისა და გვადალახარის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი, ასევე ისაუბრა ქართულ კულტურაზე, ენასა და დამწერლობაზე“, — აღნიშნულია საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციაში.

პრეზენტაციაზე ნაჩვენები იქნა ვიდეორგოლები საქართველოსა და ქართული ანბანის შესახებ.

გილოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო სამვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი დიდი სიყვარულით და პატივისცემით ულოცავენ საიუბილეო თარიღს (5 დეკემბერი) დაბადებიდან 85 წლისთავს ამავე საზოგადოების წევრს, საქართველოს მშენებელთა ბრწყინვალე საზოგადოების გამორჩეულ წარმომადგენელს, საკავშირო სამშენებლო ტრესტის „საქელექტრო-მონტაჟ-რემმშენის“ ყოფილ თავკაცს, მეგობრობის, ძმობისა და ქართული ტრადიციული სუფრის უბადლო ოსტატს, დიდებულ მამულიშვილსა და უშესანიშნავეს პიროვნებას, ბატონ

ომარ ცაავას.

გარემოს დამცველები მოხატულმა დათვმა დააფრთხო



სოციალურ მედიაში გავრცელდა ვიდეო, რომელშიც პოლარულ დათვს ბეწვზე აწერია „T-34“. წარწერა სავარაუდოდ ფერადი სპრეით არის გაკეთებული და ამ ფაქტმა სპეციალისტებსა და გარემოს დამცველებში კრიტიკა დაიმსახურა.

ვიდეო რუსეთის არქტიკულ ნაწილშია გადაღებული, თუმცა ზუსტი ადგილმდებარეობა ჯერ ცნობილი არ არის და ამაზე სპეციალისტები მუშაობენ.

T-34 იყო საბჭოთა კავშირის ტანკი, რომელმაც მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულა მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტების წინააღმდეგ.

ვიდეო Facebook-ზე გარემოს ორგანიზაცია World Wildlife Fund-ის (WWF) წევრმა სერგეი კავრიმ ატვირთა, მისგან კი სოციალურ მედიაში გავრცელდა. კავრის თქმით, მან ვიდეო პირველად WhatsApp-ის ერთ-ერთ ჯგუფში ნახა, რომელშიც რუსეთის უკიდურეს აღმოსაველთით ჩუკოტკის რეგიონის მცხოვრებლები არიან.

ებრაელთა საფლავები წაბილწეს

საფრანგეთის ქალაქ ელზასში 107 ებრაელის საფლავი სვასტიკებით და ანტისემიტური სლოგანებით მოხატეს. ინციდენტი ვესტოფენის კომუნაში მოხდა, რომელიც სტრასბურგიდან 25 კილომეტრში მდებარეობს.

© picture-alliance/AP Photo

მომხდარს საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გამოეხმაურა და ინციდენტს „საზიზღარი ქმედება“ უწოდა. მისივე თქმით, პოლიცია ყველაფერს აკეთებს, რათა დამნაშავეები მოძებნოს.

ვანდალიზმის ფაქტის გამო შეშფოთება გამოხატა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ედუარდ ფილიპმა. დამნაშავეებმა სულ 107 საფლავის ქვა დააზიანეს. მთლიანობაში სასაფლაოზე 700 ებრაელია დაკრძალული. ელზასში უკვე რამდენიმე წელია, ებრძვიან ანტისემიტიზმის გამოვლინებებს. თებერვალში უცნობმა პირებმა საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე კატზენაიმის კომუნაში 80 ებრაელის საფლავი შეურაცხყვეს და ნაცისტური სლოგანებით მოხატეს.

ტაიფუნი ფილიპინებზე

ფილიპინებზე ტაიფუნს 10 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ტაიფუნი „კამური“ ქვეყნის სამხრეთ რეგიონებს დაატყდა თავს. სტიქიამ ყველაზე დიდი ზარალი ბიკოლის რეგიონს მიაყენა. სტიქიური უბედურების ზონიდან 345 ათასამდე ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა. ძლიერი ქარიშხლის გამო ასობით ავიარეისი გადაიდო.

მუგაბეს ბანკში 10 მილიონი დოლარი დარჩა...

ზიმბაბვეს ყოფილ პრეზიდენტს რობერტ მუგაბეს გარდაცვალების შემდეგ ბანკში 10 მილიონი დოლარი დარჩა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას სიკვდილამდე ანდერძი არ დაუტოვებია. ამის შესახებ ინფორმაციას BBC მუგაბეს ოჯახსა და მათ ადვოკატებზე დაყრდნობით ავრცელებს.

მუგაბე სექტემბერში 97 წლისა გარდაიცვალა, ის ზიმბაბვეს 37 წლის განმავლობაში 2017 წლამდე მართავდა.

მუგაბეს დიდი სიმდიდრის შესახებ ჭორები ყოველთვის არსებობდა, მათ შორის ცნობილია, რომ ის ფლობდა მილიონი დოლარის ღირებულების ციხესიმაგრეს აზიაში, მაგრამ ამის შესახებ არაფერი წერია მუგაბეს ქალიშვილის წერილში, რომლითაც ის სასამართლოს მიმართავს.

სხვადასხვა ქონებას შორის ასევე არის 4 სახლი, 10 ავტომობილი, ფერმა და ხილის ბაღი, თუმცა ოჯახის ადვოკატი აცხადებს, რომ არცერთი მათგანი მუგაბეს სახელზე გაფორმებული არ ყოფილა. მუგაბეს კიდევ სხვა უძრავი ქონებაც ჰქონდა, თუმცა საბოლოო სია ჯერ დაზუსტებული არ არის.

ახლა მუგაბეს ქონების შეფასებისა და აღწერის პირველი ოფიციალური ეტაპი მიმდინარეობს.

რობერტ მუგაბე მშობლიურ სოფელში სექტემბრის ბოლოს დაკრძალეს.

მუგაბე ზიმბაბვეს მეორე პრეზიდენტი იყო 1987 წლის დეკემბრიდან 2017 წლის ნოემბრამდე. 1980-1987 წლებში კი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა. 2017 წელს მუგაბე ხელისუფლებას სამხედრო გადატრიალების გზით ჩამოაცილეს.

მარიხუანისგან დამზადებული მედიკამენტები

ბრაზილიის სანიტარიული კონტროლის ეროვნულმა სააგენტომ (Anvisa) სამედიცინო მიზნით მარიხუანისგან დამზადებული მედიკამენტების წარმოებისა და გამოყენების ნებართვა გასცა.



ნებართვა დროებითია და მისი გაუქმება სამ წელიწადში შეიძლება. ამ პერიოდის განმავლობაში Anvisa მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე კვლევების შედეგების შესწავლას აპირებს, რომლებიც ასეთი მედიკამენტების ეფექტურობასა და უვნებლობას დაადასტურებდა.

მედიკამენტების აბების, ხსნარებისა და ზეთების სახით შეძენა მხოლოდ რეცეპტით იქნება შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, თუ სამედიცინო პრეპარატში ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველობა 0,2%-ს აღემატება, ის მორფინისათვის დაწესებული წესებით გაიყიდება.

ამასთან ერთად, ბრაზილიაში მარიხუანისგან დამზადებული პრეპარატების წარმოების, იმპორტის, კონტროლისა და ბრუნვის მონიტორინგის წესები დადგინდა. პრეპარატების დამზადება მხოლოდ სამრეწველო წესით იქნება ნებადართული, იმპორტის ლიბერალიზაცია მხოლოდ ფარმაცევტული ინდუსტრიისთვის განკუთვნილ ნახევარფაბრიკატებს შეეხება.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი	2.9627;
ევრო	3.2800;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი	3.8441;
100 რუბლი	4.6174;
თურქული ლირა	0.5160;
აზერბაიჯანული მანათი	1.7472;
1000 სომხური დრამი	6.2059

ამინდი 5 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი	ღამე	-3,	დღე	+9
მთიანი რაიონები	ღამე	-9,	დღე	+5
დასავლეთი საქართველო:				
ბარი	ღამე	0,	დღე	+12
მთიანი რაიონები	ღამე	-5,	დღე	+9
თბილისი:	ღამე	+1,	დღე	+7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge